№ 2951
ოთხშაბათი,
16 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2951
ოთხშაბათი,
16 ნოემბერი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით —5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა. ნ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს“ გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა. არის

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მ. და ი. მანდლ

მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადგილზე, შეძლებას აძლევს „ექსელანს“-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის“ მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—6.—29)

პირველი აბონემენტი ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 6.

ხუთშაბათს, 17 ნოემბერს 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაწიოკებულ და დარბეულ ქართლელთა და გურულთა სასარგებლოდ

მეზობლები

ჩვენი დროის სურათები 4 მოქმ. რამიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, მ. მდივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ი. ქივიძე, ზ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ჯაყელი.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზედ.

ადგილების ფასი დაკლებულია. შეგირდებისათვის ადგილები ლოჟაში 40. კაპ. მზადდება წარმოსადგენად „კოხში“, „ჭრელი სუფრა“, „ახალი ძალა“, ხელთათმანი. შემდეგი წარმოდგენა ვ. აბაშიძის ბენეფისია.
რეჟისორი **ვ. გუნია.**

1906 წელს იანვრიდან

დაიწყება გამოცემა ახალ სომხურ ყოველთვიურ სურათებიან ჟურნალ

„მატენაგეტ“-ისა.

თითო ნომერი შეიცავს 48—64 გვერდს. ვინც დეკემბრის 10-მდის ხელს მოაწერს, მიეცემა პრემიად სომხური **„ლექსიკონი სომეხ მწერალთა ბიოგრაფიებისა“**.

წელიწადში ეღირება 2 მანეთად.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Матенагетъ“, Панасевича ул. № 1.

რედაქტორ-გამომცემელი **ჰაიკ ტერ-ასტვაწატურიანცი.**
(3—უ—2)

ვეტცელის თეატრი

პარასკევს, 18 ნოემბერს,

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ

სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება, კავსაძის გუნდის მონაწილეობით,

პარიზის ღარიბ-ღატაკნი

პიესა 5 მოქ., თხზულება დენიერისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რჩეულიშვილი, საყვარელიძე, დავითაშვილი, ჩერქეზიშვილი და ფეიქაროვი; ბ-ნნი: ბალაშვილი, მატარაძე, სალაყაია, ჯიბლაძე, მჭედლიშვილი, გელიკურაშვილი, ხუბაშვილი.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე.

ადგილების ფასი 2 მ. 20 კაპეიკიდან 50 კაპეიკამდე.

გამგენი: **ნინა კვინიხიძე და მიხეილ ანანიაშვილი.**
(3—უ.—2)

ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ სწავლა ტფ. ქართველ თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიაში შეწყვეტილია 1906 წლის იანვრის შვიდამდე.
(3—ნ.—2)

რადგან ხმებია გავრცელებული, რომ **ბ. ი. როგულევიჩის** ნავთის საწყობში, რომელიც **ზ. დ. ჩიქოვანის** გამგეობაშია, ნავთის ფასი აწეული არისო, ეს საწყობი პატივის ცემით აცნობინებს მომხმარებელთ, რომ ეხლა ფუთი ნავთი 1 მ. 25 კ. იყიდება, რადგან დიდძალი ნავთი მოუვიდა საწყობს ბ. ა. ოგულევიჩის საკუთარ სამრეწველოებიდან. აქამდე, რაკი საწყობში ცოტა ნავთი იყო, იძულებული ვიყავით იმ ფასებში გაგვეყიდა, რა ფასებშიაც ჩვენი მეზობლები ჰყიდნენ; ამათ-კი 4—5 მანეთამდე ასწიეს ფუთის ფასი, რადგან ჩვენს კონკურენციოდ საკმაო ნავთი არ გვქონდა საწყობში.

საწყობის გამგე **ზ. ჩიქოვანი.** ადრესი ნავთლუღი, ლიუმენ. ტელეფონი № 1001.
(2—1)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18.
(წლ.)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 5—6 საათამდე.
(თვ.—80—30)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს.
(150—27)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—10)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს.

კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 11, სახლი სვანიშვილისა.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს ღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ექიმი
მ. პ. ბეზირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ.
(თვ.—11)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711.
(50—368—27)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154.
(თვ.—371—28)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,

შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროტს., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ.
(თვ.—406—22)

ტფილისი, 16 ნოემბერი.

რა მოგველის?

რუსეთის ყოველ კუთხეში გამართულმა ხოცვა-ჟლეტამ თავისი ნაყოფი მოიტანა. სისხლის ზღვის შიშმა თითქოს გაანელა რევოლიუციის ქარ-ცეცხლი, დროებით შეაჩერა გმირული წინსვლა ხალხისა. რამდენადაც განუსაზღვრელი იყო აღტაცება პირველ გამარჯვებისა, იმდენად შესაზარი იყო ის ზომა, რომლითაც შეებრძოლა ძველი რეჟიმი, გაჯავრებული და განრისხებული, ძლევამოსილ ხალხს. ჯოჯოხეთურმა იარაღმა გასჭრა და გამოაფხიზლა აღფრთოვანებული მებრძოლნი, პირისპირ დაუყენა მტერი და თვალებში შეახედა. იქ კი ეწერა: „სიკვდილი მიჯობს დათმობას; არ დავთმობ ჩემ უფლებას, სანამ ძალა მაქვს; ძალა კი ჯერ ჩემსკენ არის“.

„ძალა კი ჯერ ჩემსკენ არის“,—აი მწარე სიმართლე, რომელიც გამოელვარებს საშინელ გაბრაზებულ თვალებიდან და მტერს განადგურებას, ამოწყვეტას უქადის. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ „ძალა ჯერ კიდევ ჩემსკენ არის“ ტყუილი ტრაბახი კი არა, სინამდვილეა, ნათელზე ნათელი. გაზეთები სავსეა საიდუმლო ხმებით, რომელიც ამტკიცებს ამ სიტყვების ჭეშმარიტებას. ამბობენ, მთავრობა ამზადებს განსაკუთრებულ ზომებს მოძრაობის ჩასაქრობად. ყოველ დღე იმეორებენ, რომ სასახლეში რეაქციონური ელემენტები გაფაციცებით მუშაობენო. ირწმუნებიან, რომ მხოლოდ დროებითი საკითხია სამხედრო დიქტატურის გამოცხადებაო. ასახელებენ დიქტატორების გვარებს: ისტორიული ტრეპოვი, გრაფი იგნეტიევი და დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

აქვს რაიმე საფუძველი ამ ხმებს, თუ იგი ნაყოფია შეშინებულ ფანტაზიისა? სამწუხაროდ, აქვს და ძლიერ მაგარიც. პირველი და უმთავრესი საბუთი გახლავთ მთავრობის უსაქმობა, უმოქმედობა თუმცა რუსეთში ოქტომბრის დღეების შემდეგ გარეგანი მშვიდობიანობა ჩამოვარდა, ის მშვიდობიანობა, რომელიც სურდა მთავრობას, ე. ი. მოძრაობა თითქოს აღარა ფეთქავს წინანდებურად, მაგრამ მაინც ვერ ვეღირსეთ გრაფ ვიტტესაგან აღთქმულ ზომებს მოქალაქობრივ თავისუფლების ცხოვრებაში დამყარებისათვის. პირიქით, მთავრობის განკარგულებანი წინაალმდეგს ლაღადებენ, ძველი რეჟიმის გზას ადგანან.

გრაფი ვიტტე დაგვპირდა, ამ დღეებში გამოცემული იქნება დროებითი კანონები ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებაო, და დღესაც არსადა სჩანს კანონები: ჟურნალ-გაზეთების ბედ-იღბალი მინდობილია ადგილობრივ უმაღლეს მთავრობაზედ, რომელიც მოინდომებს გაანთავისუფლებს სიტყვას ცენზურის მუხრუჭისაგან, მოინდომებს კვლავ დასტოვებს. კავკასიაში უმაღლესმა მთავრობამ „კეთილინება“ და მოისურვა ბეჭდვითი სიტყვის განთავისუფლება. კიევის, ყაზანის, ოდესის და სხვა გაზეთებს კი დღესაც ამშვენებს წარწერა: „Дозволено цензурою“... გამოცხადებულია კავშირების თავისუფლება და ამასთან შინაგან საქმეთა მინისტრი სასტიკ ცირკულიარს ჰგზავნის, რომლითაც უკრძალავს მოხელეებს კავშირების დაარსებას, უკვე კავშირებში მყოფთ კი დათხოვნას ემუქრება.

გამოცხადებულია თავისუფლება სიტყვისა და ამასთან ძალაშია-კია 12 დეკემბრის ბრძანება, რომელიც სიტყვის თავისუფლების ნახევრად უარმყოფელია. გამოცხადებულია თავისუფლება სინიდისისა და ჯერაც არავინ იცის, გაუქმებულია თუ არა ის კანონები, რომელიც სარწმუნოებას ეხება, მაგ. შეუძლიან თუ არა მართლმადიდებელმა ებრაელის რჯული მიიღოს და სასჯელი კი არ გადაახდევინონ.

გამოცხადებულია პიროვნების ხელუხლებლობა და ჯერაც ყოველი „რუსეთის მოქალაქე“ შიშით და კრძალვით ერიდება ყაზახს, სალდათს, აფიცერს, რადგან დარწმუნებული არ არის, რომ თვითმპყრობელობის მცველთ არ აღძრებათ სურვილი ხეირიანად მისტყიპონ, ან უფრო უარესი საქმე დაატეხონ—საიქიოს გაისტუმრონ.

სწორედ აუტანელი მდგომარეობაა: დღეს არ იცი ხვალ რა მოგელის; არ იცი—რა ხარ: მოქალაქე, უფლებებით აღჭურვილი, თუ ძველებური მცხოვრები, ყურ-მოჭრილი მსხვერპლი მთავრობის თვითნებობისა.

ბოროტმეტყველი მშვიდობიანობა, სიჩუმე, რომელიც აქა-იქ ირღვევა ქარიშხალის დაცემით, მომასწავებელია ჭექა-ქუხილისა. შეუძლებელია ადამიანმა აიტანოს ასეთი გამოურკვეველი, ძალამოკრეფილი მდგომარეობა. დაჭიმული ძაფები მოთმინებისა უნდა გაწყდეს, დაუსრულებელი მოლოდინი უნდა გათავდეს, უნდა გადაწყდეს ცხოვრების საკითხი: ან ახალმა უნდა გაიმარჯვოს, ან ძველს უნდა დარჩეს ბრძოლის ველი. ნიშნებიც არის, საით მიცურავს რუსეთის ბედის ნავი. თავზარდაცემული ლიბერალური საზოგადოება, რომელიც ერთსულოვანად მიემხრო უკიდურეს ელემენტებს თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, დღეს მარჯვენა მხარეს იწევს, მთავრობას ზურგს უმაგრებს, ნდობას და შველას ჰპირდება, უარყოფს თავის გუშინდელ მოთხოვნილებას. უეჭველია, ლიბერალური საზოგადოება დაეთანხმება მთავრობას განსაკუთრებულ ზომებში, თუ უკიდურესმა ელემენტებმა კვლავ მედგრად მოითხოვეს თავისუფლების დაუყონებლივი განხორციელება.

ეს კი უსათუოდ მოხდება. შუა გზაზე შეჩერება შეუძლებელია; უკან დახევა ულონობის ნიშანია. **Alea iacta est,** გეზები გადამწვარია. მხოლოდ ზემო ფარდებში ვერ შეუგნიათ ესა. იქ ჯერ კიდევ დარწმუნებულნი არიან, რომ ხალხის უკმაყოფილება შედეგია ორიოდ-სამიოდ მცირე რიცხვოვან პარტიისა, რომელთაც ოცნება ძრიელ გახურებული აქვთო.

მაგრამ სცდებიან და ძვირად დაუჯდებათ შეცდომა! მშვიდობიანობა ჩამოვარდა თითქოს, მაგრამ იგი მომასწავებელია არა რევოლიუციის ცეცხლის ჩაქრობისა, არამედ უფრო გაღვივებისა. ცეცხლის ალი ზევით ტრიალებდა, ეხლა ქვევით დაიწია და ეძება ძირს მყოფთ. მალე იმათ გულში აიგზნება კოცონი, ამოვარდება ზევით და მაშინ ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს!..

რუსეთის გლეხთა კავშირის კრება მოსკოვში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

იმ კრებათა შორის, რომელიც ამ ბოლო დროს იმართება საერთოდ რუსეთში და კერძოდ მოსკოვში, ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს ორი კრება—ერთი გლეხთა და მეორე ერობის და ქალაქის მოღვაწეთა კრება. ერობის მოღვაწეთა კრების ანგარიშები წინადაც დაბეჭდილა ჩვენს გაზეთში და ეხლაც იბეჭდება, რაც შეეხება გლეხთა წინანდელ კრებების ანგარიშებს—„ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო“ შეუძლებელი იყო მათი დაბეჭდვა და ამიტომ ჩვენი გაზეთი, ბევრ სხვა საკითხს შორის, ამასაც ძალაუნებურად უყურადღებოდ სტოვებდა. გლეხთა კრება დიდად და დიდად საყურადღებოა, რადგან მან უნდა გვაუწყოს ხმა, აზრი იმ მშრომელ ხალხის წარმომადგენლებისა, რომელიც რუსეთში დიდ უმრავლესობას წარმოადგენს.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნო, რომ გლეხთა ესეთი კრება რუსეთში პირველი არ არის. სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიამ დიდი ღვაწლი და შრომა დასდო გლეხთა შესაერთებლად და მათ განვითარება-მოსამზადებლად. დიდი ხანია ამ პარტიის დროშის ქვეშ შეგროვდა გლეხთა წრეები, რომელთაც მიიღეს იმისი პროგრამა და იწყეს მზადება. წლეულს 31 ივლისს და 1, 2 აგვისტოს მოსკოვშივე მოხდა ჩუმად, პოლიციის გაუგებრად, ეგრედ წოდებული „კრება მთელის რუსეთის გლეხებისა“, რომლის გაგრძელებაც არის დღევანდელი კრება. ჩვენ წინა დევს კარგად მოხერხილი დაბეჭდილი ოქმები ამ აგვისტოს კრებისა, რომლის შინაარსსაც აქ არ გადმოგცემთ უადგილობისა გამო და მარტოოდენ აღვნიშნავთ, რომ ოქტომბრის კითხვა ახდენს სასიამოვნო, სანეტარო შთაბეჭდილებას. უბრალო გლეხთა ნათელი, გარკვეული მოთხოვნილებანი, მათი სჯა, თავისებური, გლეხური, მაგრამ სამაგალითო შედარებები—ყველა ეს ჰხიბლავს მკითხველს და სიამოვნებას ჰგვრის.

მაგრამ შევუდგეთ დღევანდელ ანგარიშს.

საუცხოვო სანახავს წარმოადგენს ის დარბაზი, სადაც გლეხთა 200—250 წარმომადგენელნი შეკრებილან. ესენი მოვიდნენ თვალგადაუწვდენელ რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან. მათ შორის აქა-იქ მოსჩანან ქალები—წარმომადგენლები, გამოწყობილნი ეროვნულ ტანსაცმელებში. კრება გახსნა ბ-ნმა კურნინმა. გახსნისათანავე სთქვა:

„დაგვიდგა ახალი ხანა. აღორძინდა ახალი ცხოვრება. რუსის ხალხმა იგრძნო თავისი ძალა. იგი შეუდგა ორგანიზაციების შექმნას, რადგან შეიგნო, რომ ამ ორგანიზაციებში ძალა და გამარჯვებაა. განახლდა და გაძლიერდა გლეხთა კავშირები. თქვენ კარგად გეხსომებათ, როგორის გულმოდგინებით და ვერაგობით გვდევნიდა წარსულ კრებაზე პოლიცია, როგორ სცდილობდა შეეშალა ჩვენთვის ხელი და დაერღვია კრება. მაგრამ იმედი გაუცრუვდა, ვერ დაგვიჭირა. ჩვენ აღვასრულეთ დიდი საქმე. ეხლა თავისუფალი ხალხი ვართ. ჩვენს ხელთ ძალაა. ხელთ ჩავიგდებთ მიწას, უფლებებს“...

შემდეგ აარჩიეს თავმჯდომარე და მისი თანაშემწენი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი კურნინი. თავმჯდომარემ გააცნო კრებას ანგარიში კავშირის კომიტეტისა. ეუწყა საზოგადოებას, რომ პირველ კრების შემდეგ ამხანაგი მედვედევი (ვარონეჟის წარმომადგ.) პოლიციამ დაატუსაღა. დაატუსაღა აგრეთვე მეორე ამხანაგიც. მთავარ კომიტეტს ამ ხნის განმავლობაში დაუბეჭდია შემდეგი ფურცლები: „როგორ უნდა გამოეცხადოს სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი?“ (დარიგდა 15,000 ცალი), „რას ითხოვს ის ხალხი, რომელიც წითელის დროშებით დაიარება?“ (45 ათასი ცალი), „ნიმუში გლეხთა დადგენილებებისა“ (8 ათასი).

კომიტეტს დაუგზავნია თავისი წევრები პროვინციაში გლეხთა კავშირის შესაერთებლად და გასამაგრებლად. განზრახულია დააარსდეს საკუთარი გაზეთი, მაგრამ აქამდის ვერ მოხერხდა, მრავალ-შემაფერხებელ მიზეზისა გამო. ეხლა კი გაზეთი ამ ცოტა ხანში გამოვა. ყაზანის გუბერნიის წარმომადგენლებმა აუწყა კრებას, რომ ბევრი ამხანაგი არ გაანთავისუფლეს, თუმცა ამნისტიაც გამოვიდა, ბევრმა კიდევ თავი შესწირა განმანთავისუფლებელ მოძრაობასაო.

კრება ფეხზე წამოდგა და პატივი სცა დახოცილ გმირთა ხსოვნას. გაისმა სიმღერა: „Вы жертвою пали въ борьбѣ роковой“... უზარმაზარ დარბაზში გაისმა უსწორ-მასწორო, შეუწყობელი, მაგრამ გულის სიღრმიდან ამონახეთქი ხმები, გამარჯვების შეგნებით გამსჭვალული. ბევრს ამ ხმებმა ცრემლებიც-კი მოჰგვარა.

შემდეგ ილაპარაკა ამხანაგმა მაზურენკომ, დონის ოლქის წარმომადგენელმა.

— ამხანაგებო!—დაიწყო მან,—მიესალმები განთიადს თავისუფლებისას და იმისთვის მებრძოლთ! ჩვენ მოვიპოვეთ კონსტიტუცია, დავამარცხეთ ისინი, ვინც ჩვენის სისხლით წყურვილს იკლავდა. თუმცა კონსტიტუცია ჯერედ მარტო დაპირებაა, მაგრამ საქმე ის-კი არ არის, რომ იგი ქაღალდზედ დაიწეროს, არამედ ის არის, რომ ორი მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი ძალა ერთმანეთს დაუპირისპირდა. ძალა ჩვენს ხელშია. სულ მცირე ხნის განმავლობაში შევადგინეთ და გავამრავლეთ კავშირები, გავაფართოვეთ ორგანიზაციები და მაშ რა არის ეს, თუ არა ძალა? ჩვენი რაზმები, რომელთა საერთო რიცხვი ასს მილიონს უწევს, გასრესს და ფეხით გაჰქელავს ასთავიან ვეშაპს. აღსდგა, გამოფხიზლდა გლეხობა, და ვაი პოლიციის ხელის გულზე დამყარებულ სახელმწიფოს!.. თუმც ჯერ კიდევ ბევრია გლეხთა შორის შეუგნებელი, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ვებრძოლოთ ამ სიბნელეს და განვანათლოთ. უნდა მოვაწესრიგოთ მებრძოლი ძლიერი რაზმი, ისეთივე, როგორც მუშათა რაზმია, და წავიყვანოთ იგი გამარჯვებისკენ. დონის მიდამოებში, საიდანაც მე ვარ გამოგზავნილი, დიდი ორგანიზაცია გვაქვს. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი ორგანიზაცია არაფრად ეჭაშნიკება მთავრობას—პოლიციას, ისინი ყოველ ღონესა ღონობენ იმის წინაამდეგ. ერთ ალაგას ამხედრდნენ გლეხთა განაჩენზე, რომლითაც გლეხებმა მოითხოვეს წარმომადგენლობითი სახელმწიფო, მაგრამ ამისდა მიუხედავად, განაჩენი მაინც დაადგინეს. მთავრობამ ყაზახები (დონელი კალმიკები) გაჰ-

გზავნა გლეხთა წინააღმდეგ, მაგრამ ისინიც გლეხებს მიემხრნენ, ბოლოს პოლიციამ, რაკი ვერა გააწყო რა, ნება დართო კრებებისა. კრებებს ესწრებოდნენ თავად-აზნაურნი და მემამულენი, რომელნიც ძალზედა ბრაზობდნენ. დონელ ყაზახების თავი და თავი მოთხოვნილება ის არის, რომ ყაზახებს გადაეცეთ საზოგადო საკუთრებად მიწა და დაარსდეს წარმომადგენლობითი სახელმწიფო. ერთ ადგილას დაადგინეს, გააუქმონ ყაზახთა პოლკები და შემოიღონ მილიცია. ჩვენ თუ შეერთებულის ძალით ვიმოქმედებთ, დავძლევთ ასთავა ვეშაპს, რადგან ჩვენ ას მილიონზე მეტი ვართ. გავწიოთ წინ, ძმანო, ამხანაგებო, და მოვითხოვოთ მიწა და თავისუფლება!

ამხანაგმა მედვედევმა, ჩერნიგოვის გუბერნიის წარმომადგენელმა, სთქვა: გუბერნატორი გამათრახებას გვიქადიდა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მოძრაობა ძალზე მოედო მთელ გუბერნიას. სადაც იჯარა დიდია ან მცირე სამუშაო ქირას იძლევიან, იქ ვუცხადებთ მემამულეებს ბოიკოტს. ერთ სოფელში გამოჰგზავნეს სალდათები, რომელთაც გამოგვიცხადეს, ვინც უნდა გვიბრძანოს, ჩვენ ეგზეკუციით არას გზით არ ჩავდგებითო. გლეხებმა უკვე შეიგნეს, რომ აკლება, წვა-დაგვა და განადგურება კარგი საქმე არ არის. უნდა შევერთდეთ, შევათანხმოთ კერძო სურვილი და შევქნათ ერთი დიადი მოძრაობაო.

ბელორუსის წარმომადგენელმა სთქვა: „კარგა ხანია, რაც ჩვენ ერთად დავიწყეთ წიგნების კითხვა, პაგრამ ჩვენი მღვდელი გვდევნიდა. ვიკრიფებოდით ტყეებში, ღრეებში და ისე ვიკლავდით კითხვის წყურვილს, ბოლოს ისიც გვეღირსა, რომ დაგვიწყეს საპყრობილეებში დამწყვდევა. ჩვენ მაინც არ ვიშლიდით ჩვენსას. მემამულეები იქამდე მივიყვანეთ, რომ ეთანხმებიან ჩვენს მოთხოვნილებას“.

მეორე წარმომადგენელმა ბელორუსიიდან აღწერა აუტანელი მდგომარეობა ხალხისა და ბოლოს სთქვა: „ჩვენ ბელორუსის ენაზედ სწავლა აკრძალულია, გვიკრძალავენ აგრეთვე ერთმანერთს ვასწავლოთ წერა-კითხვა. ჯოხს და წკეპლას ჩვენში დიდი გასავალი აქვს. ერთხელ ერთ ადგილას გლეხთა მოძრაობა მოხდა. მოვიდა გუბერნატორი პალენი, თან, რა თქმა უნდა, ჯარი მოჰყვა, დაგვიწყო რუსულად ლანძღვა-გინება, ერთმა დედაკაცმა ვეღარ მოუთმინა და თავი გაუჩხა. მან ეს ურცხვად დაძალა და სამაგიეროდ 50 კაცი დაატუსაღა. ჩვენი გლეხობა იარაღ ასხმულია, სთქვით-დადგა დრო თქო და ჩვენ მზადა ვართ. აუცილებლად საჭიროა გლეხთა შეერთება საომარ რაზმებად“.

ზოგიერთებმა აღნიშნეს, რომ მღვდლებს უნდოდათ მოეწყოთ ებრაელთა ჟლეტა-ხოცვა და აკლება, მაგრამ გლეხები წინააღუდგნენ ამ განზრახვასაო. ერთმა წარმომადგენელმა სთქვა, რომ გლეხებს ძალზე ეჯავრებათ მღვდლები, აზრადა აქვთ წაართვან მიწა, რადგან მათთვის ისიც საკმაოა, რასაც იღებენო. ბევრგან გლეხები ასე ამბობენ: „მანიფესტები ჩვენ ბევრი გვინახავს, მაგრამ არც ერთს ჩვენი იარა არ გაუმთელებია, ყველაზე კარგი ის არის, რომ მიწები წავართვათო“.

ილაპარაკა მწერალმა ტანმა და, სხვათა შორის, სთქვა:

„დიდი ხანი ითმინა ჩვენმა ხალხმა, მაგრამ ეხლა მოთმინების ფიალა აივსო და გადმოვიდა. „პატიომკინის“ არეულობის შემდეგ გავრცელდა არეულობა, მოედო ლიბავას და ეხლა კრონშტადტს. მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო ცეცხლი, მაგრამ ამისი დარდი არა აქვს ჩვენ მთავრობას, ამაზე არა ფიქრობს, რომ რუსეთი გადაიწვება. ისინი წავლენ საზღვარ-გარედ, მორჩა და გათავდა! ის კი არ იციან, რომ რუსეთი ჩვენ გვინდა საცხოვრებლად; გვინდა ვიცხოვროთ და ძალაც შეგვწევს. ამიტომ კი საჭიროა შეერთება, შეკავშირება. მაშინ ვეღარაფერი ვეღარ შეგვაშინებს“.

ილაპარაკეს აგრეთვე ქალებმა. მათ თქვეს: „გაჭირვებულს მდგომარეობაში ვართ, სახსარი არსაითა გვაქვს. მიწა, მიწა გვინდა. ჩვენ ნასწავლები არა ვართ, ხეირიანი ლაპარაკი არ ვიცით. აი წაიკითხეთ, რაც აქ გვაქვს დაწერილი“.

წაიკითხეს. აღნიშნულია ყოველგვარი მოთხოვნილება გლეხისა არის, სხვათა შორის, საყოველთაო სწავლა სახელმწიფოს ხარჯზედ, საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და თანასწორ კენჭის ყრით არჩევნები და სხვა.

გამოირკვა, რომ სოფლებში კლავინდებური თვითნებობა და ძალმომრეობაა. „მე ვარ თქვენი ხელმწიფეც და ღმერთიცაო!“ გაიძახის თურმე ვლადიმირის ერობის უფროსი კორობოვი. მღვდლები ეკლესიებში არ უკითხავენ ხალხს მანიფესტს, რაა-არ გაიგონ თავისუფლების გამოცხადებაო.

საერთოდ-კი თავი და თავი მოთხოვნა გლეხებისა —არის მიწა. მედგრად თხოულობენ —გადაეცეს მიწა საკუთრებად მთელ ხალხს. უნდა ჩამოერთვას კერძო მფლობელებს და ხაზინას. ზოგიერთ ადგილას გლეხები ამბობენ: „თუ ამ ზამთარს ნებით არ მოგვცემენ მიწას, გაზაფხულზედ ჩვენ თვითონ წავიღებთ მასო“.

მიწის გარდა გლეხები თხოულობენ უფლებას.

კრონშტადტის ამბების შესახებ კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

სამხედრო ბეგარა ჩვენში ყველაზედ უსაძაგლესი უსამართლობა და ძალმომრეობაა. სალდათებს ცუდად აჭმევენ, ასმევენ, უმოწყალოდ სჯიან. სამსახურის ხანი ძალზედ დიდია. იაპონიასთან ომმა ნათლად დაგვანახვა, რომ ასეთ საშუალებებით ვერ გაძლიერდება მეომარი სახელმწიფო. აი დღესაც, მთავრობას ჩაუმწყვდევია მანჯურიაში 700,000 სალდათი, შეძლება არა აქვს უკანვე დააბრუნოს ეს ჯარი, რადგან ძალზედ ეშინიან: იცის რომ მანჯურიის ჯარმა ბევრი ტანჯვა-ვაება განიცადა და ეხლა ამ ჯარს სძულს და ეზიზღება მთავრობა. კრება თავის თანაგრძნობას უცხადებს კრონშტატის მეზღვაურებს და სალდათებს, თან ნანობს, რომ იმათ მოქმედებასთან ერთად თავი იჩინა ხულიგანების და მძარცველების უაზრო მოქმედებამ. ხულიგანების საქციელი მხოლოდ მიბაძვაა იმ საყოველთაო მოქმედებისა, რომლითაც ამ ბოლო დროს თავი ისახელა პოლიციამ შავ რაზმელების დახმარებითაო. **Al.**

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ

—

ალექსანდროპოლში ბუფეტის პატრონის იოსებ თებზაძის მიერ შეგროვილი 172 მან. 75 კაპ. შემომწირველთა სია:

იოსებ თებზაძე 50 მ., მეუღლე მისი ევდოკია თებზაძე 15 მ., ლ. მ. კაპანაძე პოდრიაჩიკი 25 მ., ბ. მ. მიქელაძე 10 მ., ს. ე. მესხი ექიმი 5 მ., ე. ისაკოვი 5 მ., მ. ლ. ჩხეიძე 5 მ., ფ. ბარბაქაძე 5 მ., გაბრიელ მშვენიერიძე 5 მ., ვ. ხომასურიძე 5 მ., ბ. ვ. განკევიჩი 3 მ., მ. ფ. პავილეიკო 3 მ., კ. ა. სალაგოვი 3 მ., მ. ი. აკულიანც 3 მ., ა. ჯოხაძე 2 მ., რუხიანი 2 მ., პ. ლ. ბელიავსკი 2 მ., ს. ვ. კოსტავა 2 მ., მ. მაკარიანცი 2 მ., ნ. ბედია 1 მ., ს. ჩამელაშვილი 1 მ., დ. ცერაძე 1 მ., ლუკასევიჩი 1 მ., ვ. სუხოვი 1 მ., კ. აგადჟანოვი სტეფანიანცი 1 მ., ა. გევენიანი 1 მ., მ. ვშანიანცი 1 მ. ი. ჟუჩკევიჩი 1 მ., ა. ვასილიევი 1 მ., ი. პანოვი 1 მ., ი. გაგაგოვი 1 მ., მ. ისაკოვიჩი 1 მ., მ. ჩიტია 1 მ., პ. ლაგაძე 1 მ. იაგორ თავდგირიძე 1 მ,, ი. ცურცუგია 1 მ., სრუბოს 60 კ., ს. ლებანიძე 50 კ., ზ. ბალანდინი 50 კ., ს. ფილიპოვი 50 კ., გურიევი 25 კ., დრობიშევსკი 20 კ. რაევსკი 20 კ.

—

ალექსეი მარმარაშვილისა და კოლა ზ. წოწოლაშვილის მიერ შეკრებილი 43 მ. 60 კაპ. შემომწირველთა სია:

ალექსი მარმარაშვილი 5 მ.; კოლა წოწოლაშვილი 2 მ., გიორგი მარმარაშვილი (3 წლისა) 1 მ., იოსებ მარმარაშვილი (2 წლისა) 1 მ., საქულ ფარსადანოვი 2 მ., არტემ აგაზოვი 1 მ., სტეფანე კარაპეტოვი 1 მ., ძმანი მალაევები 3 მ., ზაქარა მალაევი 1 მ., სერგო ოჰანეზოვი 1 მ., მიხეილ დილმელოვი 1 მ., აკოფა ნაზაროვი 1 მ., სტეფანე გალუმოვი 1 მ., გრიქორ თარაიანცი 1 მ., მარქარ მოსესოვი 1 მ., ვართან თარაიანცი 1 მ., ალაჯან მელქუმოვი 1 მ., ნერსეს ოსეფოვი 1 მ., დიმიტრი ალუღიშვილი 1 მ., თუმანოვის ეზოს მუშები 1 მ 20 კ., ლუარსაბ აბდულაძე სტრაჟნიკი 1 მ., იელო მოსესიანცი 1 მ., ს. ჩიკვაიძისა 1 მ., არშაკ ნავთიკოვი 1 მ., აბგარ ოსეფოვი 50 კ., სერგო ჯანიევი 50 კ., გერასიმ ნავთიკოვი 50 კ., გალუსტოვი და მამასახლისოვი 50 წ., სტეფანოვი 50 კ., გაბო ბალინოვი 50 კ., ს. ი. სათსაზოვი 50 კ., სიკო მ. ქანანოვი 50 კ., სედრაკ გრიქუროვი 50 კ., პეტრუსა მარქაროვი 50 კ., თამარა პაწია ჯანყაროვი 50 კ., ალექსანდრე . 50 კ., ავეტიქ ულიბეგოვი 50 კ., აედაშიანცი 50 კ., გაბო ოქოევი 50 კ., მაისეევი 50 კ., მელიქსეთ ტერაკოფოვი 50 კ., დავით კაპილოვიჩი 50 კ., ზაქარია მონჯიკაშვილი 50 კ., იაგორ ჯანიაშვილი 50 კ., გეორქ ბალდასაროვი 20 კ., არსენამი 20 კ., ს. ზაქაროვი 1 მან.

—

დაზარალებულ ქართველთა სასარგებლოდ ბ-ნ ივანე კიმუცაძის მიერ შეგროვილი 9 მ. 20 კ. შემომწირველთა სია:

ლევან ფხალაძე 30 კ., ასლან გრიკუროვი 50 კ. ალექსანდრე ცოფურაშვილი 50 კ., ვანო დ. ქიპაშვილი 50 კ., კარპეზ დ. ბუაჩიძე 50 კ., გლახუა ქვებულოვი 10 კ., ადამ ქვებულოვი 10 კ., ვანო ნადირაშვილი 50 კ., შაქრო ნადირაშვილი 50 კ., ონიკ საიადოვი 50 კ., გიორგი ზ. დოგუზაშვილი 50 კ., გიგო ჯოგლიძე 40 კ., სამსონ აბრამის ძე თედიაშვილი 30 კ., შაქრო გასპაროვი 30 კ., მიხაილ სირტყლაძე 1 მ., გასპარ გიგუაშვილი 50 კ. სონკა გოგიჩაიშვილი 30 კ., ვლადიმერ ბესარიონის ძე აბდუშელიშვილი 1 მ., იოსებ დ. თურქია 50 კ., გიორგი ულლაძე 40 კ.

—

ლუიზა მადერის ქარხნის მუშებს შორის შეგროვილი 22 მან. 90 კ. შემომწირველთა სია:

როსტომ გაგოშიძე 1 მ., ოქროპირ გოქაძე 1 მ., ანდრია სოხაძე 1 მ., ვალიკო კოხრეიძე 1 მ., ალექსანდრე ჯაფარიძე 1 მ., გიგო სოხაძე 1 მ., ლუკა ჰოხნელიძე 1 მ., ბარნაბა ლორთქიფანიძე 1 მ., ნესტორ ცხვედიანი 1 მ., გერმან ჟორჟოლიანი 1 მ., ვანო ფრუიძე 1 მ., ათანას ჩიხლაძე 50 კ., დომენტი სტურუა 1 მ., იოსებ ფრუიძე 40 კ., მეთოდე ომიაძე 1 მ., დიმიტრი კოხრეიძე 50 კ., კარისტატ ფხაკაძე 50 კ., ნიკა გაბარაშვილი 1 მ., მაქსიმე ომიაძე 1 კ., ბიჭინა ქელიძე 50 კ., კოსტა ქელიძე 50 მ., დათიკო გიორგაძე 1 მ., პავლე ძაგერეიშვილი 50 კ., იავორ მუჩიაური 50 კ., კოსტა კოხრეიძე 1 მ., ნიკა ბაღდავაძე 1 მ., ნიკიფორ ჯინჭარაძე 1 მ.

—

სამტრედიის ბუფეტში შეგროვილი 10 მან. 50 კ. შემომწირველთა სია:

მიხეილ მიქაძე 5 მ., ლავრენტი ჰუმბურიძე 1 მ., ვარდან გიგინეიშვილი 1 მ., ბესარიონ. გოგიტაური 1 მ., კოწია ფხაკაძე 1 მ., ვლადიმერ კვანტალიანი 50 კ., ნოე ნაცრიშვილი 1 მ., ილიკო დოლონაძე 50 კ.

—

ამათ გარდა შემოსწირეს დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ: კნ. სოფიო მიქელაძისაა—5 მ., დეკ. კ. კეკელიძის მიერ ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში შეკრებილი 15 მ., მღ. ილარიონ ხახუტაშვილი 3 მ., ვლად. პეტ. ხარზაზეკიშვილი 2 მ., სოლომონ ბუზიაშვილი 3 მ., იასონ გარგევანიძე 40 კ., თედო ცელაძე—40 კ., იაკობ მაღალდაძე—40 კ., ვანო ნადირაძე—30 კ., სიკო კოკაშვილი—25 კ., ლიადო ელბაკიძე—25 კ., ფილიპე ანჯაფარიძე 10 მ.

სხვა დაზარებულ ქართველთა სასარგებლოდ ფილიპე არჯევანიძე 5 მ.

დღემდე დაზარალებულ გურულთა და სხვა ქართველთა სასარგებლოდ შემოვიდა სულ 1504 მ. 14 კაპ.

ახალი ამბავი

◆ **სალდათები და თავისუფლება.** ნამესტნიკმა ბრძანება გამოსცა, რომ სალდათებმა არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ პოლიტიკურ კრებებსა, მიტინგებსა, კავშირებსა და ორგანიზაციებში. დამნაშავე სასტიკ პასუხის გებაში იქმნება მიცემულიო. ამასთან ნამესტნიკი ავალებს ჯარის უფროსებს, ყურადღება მიაქციონ, რომ სალდათებმა არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ პოლიტიკურ მოძრაობაში.

◆ **სალდათების მოთხოვნილებანი.** 13 ნოემბერს საპერნი ბატალიონის სალდათებმა ყაზარმის ეზოში კრება გამართეს და თავიანთ მდგომარეობის შესახებ მოილაპარაკეს. კრებამ საღამოს 6 საათამდე გასტანა. ორატორი სალდათები ასურათებდნენ თავიანთ მდგომარეობას. ამბობდნენ, რომ ხალხმა თავისუფლება მიიღო, ჯარი-კი დღესაც მოკლებულია ამას, იგი მხოლოდ აღმასრულებელია უფროსის ბრძანებისაო. სალდათებმა გაითვალისწინეს თავიანთი მდგომარეობა, სასმელ-საჭმელების უვარგისობა, ცუდად მოპყრობა უფროსებისაგან და სხვ. კრება მეორე დღესაც მოხდა. ბოლოს კრებამ შეიმუშავა და პოლკის უფროსს წარუდგინა შემდეგი მოთხოვნილებანი: შემცირდეს სამხედრო ბეგარა ორ წლამდე; ნება მიეცეთ აარჩიონ განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეამოწმოს ხოლმე საიტენდანტო მოქმედება; დაენიშნოს თითო სალდათს თვეში 5 მან., გაუმჯობესდეს სასმელ-საჭმელი და აგრეთვე საცხოვრებელი ბინა. მიეცეთ სუფთა და რიგიანი საწოლები და ტანისამოსი; დათხოვნილ იქმნენ სათადარიგო ჯარის-კაცნი, რომელნიც თავიანთის მოქმედებით ჩირქსა სცხებენ სამხედრო წოდებას; სამსახურის ვადის დასრულებისა და შინ გამგზავრების დროს სალდათს მიეცეს თითოს 25 მანეთი სამგზავროდ და სხვ. სულ 20 მუხლია მოთხოვნილებაში.

◆ **შტაბის მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი.** დანამდვილებით გავიგეთ, რომ კავკასიის სამხედრო შტაბისა და სამხედრო დაწესებულებათა უმცროს მოხელეებს თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ სათანადო მთავრობისათვის.

◆ **პატრიოტთა წინააღმდეგ.** მკითხველებმა უკვე იციან, რომ პოლონეთის რკინის გზების რუსმა მუშებმა სთხოვეს რუსეთის რკინის გზების მუშებს, მხარს ნუ დაუჭერთ პოლონეთსაო. ამის გამო განჯის რკინის გზის მოსამსახურეებმა 13 ნოემბერს ერთხმად დაადგინეს: გამოუცხადოს ზიზღი ხსენებულ მუშებს და თანაგრძნობა პოლონეთის დანარჩენ მუშებს, რომელნიც არ მიემხრნენ პროვოკატორულ რჩევას. გამოუცხადოს თანაგრძნობა აგრეთვე პოლონელებს, რომელნიც თავისუფლებისათვის იბრძვიან.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა საქმე.** ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ მოსკოვს მისული დელეგატები ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირისა, 100 კაცზე მეტი, დურნოვოს განკარგულებით დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან, კავშირის ცენტრალურმა ბიურომ პროტესტი გაუგზავნა გრაფ ვიტტეს და მოითხოვა ამ განკარგულების გაუქმება, წინააღმდეგ შემთხევაში კავშირი საერთო გაფიცვას მოახდენსო. თავის მხრით ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველომ განკარგულება მოახდინა, თუ გაფიცვა მოხდა, მიიწვიეთ წინად სამსახურიდან გამოსული მოხელენიო.

◆ **ჯარი სადგურებში.** როგორც მკითხველებმა იციან, ბათუმის მხარეს ყველა სადგურზე ჯარი იდგა საყარაულოდ. ახლა საყარაულო ჯარს დასტოვებენ ფოთს, სამტრედიას, ლანჩხუთს, სუფსას და ბათუმს. ეს გარემოება გამოუწვევია იმას, რომ შეიარაღებული ხალხი უხვდება მატარებლებს და აჩერებს.

◆ **მეზოვეების დათხოვნა.** ნამესტნიკის კანცელარიამ 300 კაცამდე დაგზავნა თავთავიანთ სახლებში. ყველას გზის ფული მიეცა.

◆ **ჯარის წაყვანა.** ამ დღეებში დაიწყება ათარებელ ჯარის გადაყვანა ტფილისიდან რუსეთში. ამიერ-კავკასიის რკინის გზა უკვე შეუდგა ვაგონების მზადებას. უნდა წაიყვანონ ის სათადარიგო ჯარის-კაცები, რომელნიც ამასწინად ჩამოიყვანეს. რამდენი ფული დაჯდა ამ ჯარის გადაყვან-გამოყვანას და ნეტავი ვის რა სარგებლობა მოუტანა?

◆ **ფქვილი და შაქარი ტფილისისათვის.** ქალაქის თვით-მმართველობა შეეკითხა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას, ფოთსა და ბაქოში ტფილისისათვის მოვიდა ფქვილი და შაქარი და რა მიზეზია, რომ არ ჩამოგაქვთო. რკინის გზის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რაც შეიძლება ჩქარა ჩამოტანილ იქმნას შაქარი და ფქვილი.

◆ **ხულიგანთა თარეში.** 13 ნოემბერს, ღამე, მუშტაიდის ქუჩაზე, საბალოსნო სკოლის ზემოდ, კუთხეში, რამდენიმე ხულიგანი თავს დაეცა ოდესიდან წინა დღით ჩამოსულ სტუდენტს მიხ. ტატიშვილს. ვინ იცის რას დამართებდენ, რომ ყვირილზე არ წამოშველებოდა მეეტლე, რომელსაც ხელად ჩაესვა ეტლში და გადაერჩინა.

◆ **ხულიგანების მსხვერპლი.** ერთი კაცი კიდევ იმსხვერპლეს ხულიგანებმა. კუროვის სახლში მოთავსებულ დუქანში 13 ნოემბერს, ელისაბედის ქუჩაზე, ოთხი ხულიგანი შესულა. ერთს, ელენბაუმს უსროლია რევოლვერი მადერის ასოთ ჩამომსხმელ ქარხნის მუშის გიორგი მაისურაძისათვის და იქვე გაუთავებია.

◆ **ჟანდარმის დაჭრა.** სად. რიონზე, როდესაც სახალხო მატარებელი № 3 შესულა, თოფი უსროლიათ ჟანდარმ ლიუბოვიჩისათვის და მძიმედ დაუჭრიათ. შეუპყრიათ ვლ. შუბლაძე.

◆ **მკვლელობა.** 13 ნოემბერს ავჭალის ქუჩაზე, „სლუჟბა სბორის“ გვერდით, მოჰკლეს ყმაწვილი კაცი, 15 წლისა შმიტი, შვილი ბათომში ცნობილ უბნის ზედამხედველისა. მოკლული შმიტი მამის ხელობას დასდგომია და ბათუმში უკანასკნელ მანიფესტაციის დროს პირველად იმას დაუცლია რევოლვერი და ჯარისთვის პროვოკაციონული ნიშანი მიუცია. ამის შემდეგ ჯარს სადგური აუკლია.

◆ **გურულთა სასარგებლოდ.** პეტერბურგში, როგორც „ვოზ.“-ს ატყობინებენ, კონცერტსა მართავენ დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ.

◆ **მეეზოვეთა მიტინგი.** დღეს, 16 ნოემბრისათვის, დანიშნულია ტფილის მეეზოვეთა მიტინგი. მიტინგმა უნდა განიხილოს მეეზოვეთა შესახები სხვა და სხვა საკითხები და გადასწყვიტოს, რომელ პარტიას მიემხრნენ.

◆ **მკვლელობა.** 12 ნოემბერს, შუაღამისას, ოქროყანის გზაზე პოლიციის ბი-

---

ფელეტონი

—

საუბარი მუშასთან

I

ყოველისავე სიმდიდრის წყარო შრომაა. რაც კი კაცობრიობას მოეპოვება, რაც კი აკმაყოფილებს მის საჭიროებას, რაც კი ასაზრდოვებს, ზრდის და აძლევს საშუალებას განვითარებისათვის,— ეს ყველაფერი შრომით არის შექმნილი. შრომა ქვეყნის ბატონია და ცხოვრება ქვეყანაზე შესაძლებელია მარტო შრომის შემწეობით.

დღითი დღე იზრდება შრომის ძალა, თანდათან იმორჩილებს შრომა მთელს ბუნებას, ქვესკნელში ჩადის, აღარ რჩება დაუმუშავებელი არც ზღვა და არც ხმელეთი, აუმჯობესებს იარაღს, აფართოვებს თავის შემოქმედებას, აძლიერებს ნიჭს და იმის განვითარებასთან ერთად საკვირველი სისწრაფით იზრდება სიმდიდრე და ამით საშუალება ეძლევა ადამიანს ყოველ მხრივ განვითარებისათვის.

შრომაა ყველაფერი, მაგრამ ეს შრომა დღეს დამონებულია. იმისათვის, რომ მშრომელმა გავლენა იქონიოს ბუნებაზე, გარდაქმნას ბუნების ძალა სასარგებლო ნივთად, საჭიროა საწარმოვო საშუალება, საჭიროა, რომ მშრომელს ჰქონდეს როგორც მასალა, ისე იარაღი მასალის დასამუშავებლად. თუ ეს არ ექნება, ისე შრომა თავის თავად ვერაფერს გააკეთებს.

დღეს კი საწარმოვო საშუალებანი—მიწა, მადნები, იარაღი, მანქანები, გზები—კაპიტალისტების კერძო საკუთრებაა. თვითონ მშრომელებს, შრომის პატრონებს გარდა სამუშაო ძალისა, მუშა მკლავებისა არაფერი გააჩნიათ. მათ შეუძლიათ მუშაობა მხოლოდ სხვის საწარმოვო საშუალებით, შეუძლიათ იმუშაონ კაპიტალისტების ქარხნებსა და მადნებში, სხვის მიწაზე, ნაყოფი გამოაღებინონ თავის შრომას მხოლოდ კაპიტალისტების მიერ მითვისებულ იარაღის შემწეობით.

შრომას დღეს შეუძლია შექმნას სიმდიდრე მაშინ, როდესაც გაქირავებულია, გაყიდულია სხვაზე,—და ეს გაქირავება არის მისი მონობა. საწარმოვო საშუალებას მოკლებული მუშა იძულებულია ან შიმშილით მოკვდეს, ან დაექირაოს, მიჰყიდოს თავისი შრომა კაპიტალისტს, რომელიც აძლევს მუშას მხოლოდ იმდენს ქირას, რამდენიც საჭიროა, რომ შიმშილით არ მოკვდეს. დაქირავებული მუშა ჰქმნის სიმდიდრეს და იმის ოფლითა და სისხლით შექმნილი სიმდიდრე გადადის კაპიტალისტების ჯიბეში.

სიმდიდრეს დაჰპატრონებიან კაპიტალისტები, რომელნიც თვითონ არაფერს აკეთებენ და მუშის ნაოფლარით სცხოვრობენ. კაპიტალისტები განაგებენ ქვეყნის ქონებას და ხმარობენ ამ ქონებას თავის სასარგებლოდ, ურიცხვი მუშა ხალხი კი მუდამ მშიერია, გაჭირვებული და შევიწროვებული, უსამართლოდ იჩაგრება, უდროოდ კვდება. სიმდიდრე მატულობს, მაგრამ მასთანავე იზრდება არევ-დარეულობა მრეწველობაში, მატულობს ის უსამართლობა, რომელზედაც დამყარებულია დღევანდელი კაპიტალისტური წარმოება. კაპიტალისტი სულ იმას სცდილობს, რომ რაც შეიძლება უფრო გაყვლიფოს და გაძარცვოს მუშა, რაც შეიძლება ნაკლები ქირა მისცეს და მეტი ძალა გამოსწოვოს. კაპიტალისტურ წარმოებას არ შეუძლია დააკმაყოფილოს კაცობრიობის საჭიროებანი, იგი ემსახურება მარტო კაპიტალისტების მცირე ჯგუფს.

და აი, შრომის გაძლიერებასა და მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდება განხეთქილება მუშა ხალხსა და კაპიტალისტებს შორის. დღითი დღე ვითარდება შეგნება მუშათა კლასისა. მუშები იღვიძებენ, ხედავენ, როგორ შეუბრალებლად იჩაგრებიან და იყვლიფებიან და იწყებენ მედგარ ბრძოლას კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში პროლეტართან, ქალაქის სამრეწველო მუშებთან ერთად გამოდის მიწის მუშა გლეხიც. ორივე—პროლეტარი და გლეხი—შემქნელია მთელ საზოგადოებრივ წარმოებისა, არც ერთი არაა მწარმოებელი-კაპიტალისტი, არამედ ჭეშმარიტი მუშაა, რომელიც სცხოვრობს საკუთარის შრომით და არა სხვის გაყვლეფით, რომელსაც ერთნაირად სჩაგრავს კაპიტალისტური წარმოება.

პროლეტარი და მიწის მუშა გლეხი, ერთ კლასად შეერთებული, გამოდის საბრძოლველად, რომ სამუდამოდ გაანთავისუფლოს მრავალი საუკუნოების განმავლობაში დამონავებული შრომა, მიანიჭოს მუშა ხალხს და მასთან მთელ კაცობრიობას ჭეშმარიტი თავისუფლება და ამით გააძლიეროს ადამიანის შემოქმედებითი ნიჭი, შრომა შეჰქმნას კიდევ უფრო ნაყოფიერი, ვიდრე არის დღეს

შრომის განთავისუფლება კი შეიძლება მაშინ, როდესაც მოისპობა დღევანდელი კაპიტალისტური წარმოება, მოისპობა კერძო საკუთრება საწარმოვო საშუალებისა—მიწაზე, მადნებზე, მანქანებზე და სხ.—საწარმოვო იარაღი იქნება საზოგადო, როდესაც დაწესდება საზოგადო, სოციალისტური წარმოება, შრომა იქნება სავალდებულო, ყველა იმუშავებს და ყველა იცხოვრებს საკუთარის შრომით. მაშინ დამყარდება ნამდვილი ძმობა და ერთობა ადამიანთა შორის, აღარ იქნება ერთმანერთის მოტყუილება, გაყვლეფა და ძარცვა-გლეჯა. ყველა იმუშავებს, ყველას შეეძლება დააკმაყოფილოს თავისი საჭიროებანი, ყველას შეეძლება განვითარდეს, დაეწაფოს მეცნიერებას, ხელოვნებას.

ასეთ სოციალისტურ მომავლისათვის იბრძვის მუშა ხალხი. მისი სრული გამარჯვება, მისი განთავისუფლება იქნება მაშინ, როდესაც მოისპობა ეხლანდელი კაპიტალისტური ბურჟუაზიული წარმოება და წესწყობილება და იმის მაგიერ დამყარდება სოციალიზმი.

მაგრამ მუშა ხალხმა რომ თავის მიზანს მიაღწიოს, საჭიროა ახლავე მოიპოვოს მოქალაქობრივი და პოლიტიკური უფლებები და შეიძლოს თავისუფალი მოღვაწეობა. გარდა ამისა უნდა გამაგრდეს ქონებრივადაც შესაფერ ეკონომიურ ცვლილებების (რეფორმების) შემოღებით, თავი დააღწიოს აუტანელ სიღატაკეს და ამაღლდეს სულითაც და სხეულითაც, რომ უფრო მომზადებული იყოს ბრძოლისთვის. ამიტომ სანამ ერთიან მოისპობოდეს კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული წესწყობილება, ამ წესწყობილების დროსაც მუშათა კლასმა უნდა იბრძოლოს პოლიტიკურ თავისუფლებისა და მუშების დასაცველად, ამ წესწყობილების დროს, ამ დროებით სადგომშიაც, უნდა გააუმჯობესოს თავისი მდგომარეობა.

საქართველოს მუშა ხალხის საქმე ნაწილია იმ საქვეყნო საქმისა, რომლისათვის იბრძვის მთელი დედა-მიწის მუშა ხალხი. მთელი ქვეყნის მუშათა კლასს ერთი ინტერესი აქვს—ეს არის მუშათა განთავისუფლება გაყვლეფისაგან, ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ. მაგრამ ადგილობრივ პირობებისა გამო საჭიროა ბრძოლის ზოგიერთი განსაკუთრებული საშუალებაც. მაგალითად, რუსეთის დესპოტიური მთავრობა უარესად ავიწროვებს არა-რუსებს, ვიდრე

ნის დარაჯს ალი-ყულიევს თავს დაესხა 3 უცნობი კაცი და მოჰკლა.

◆ **პოლიციის გაძლიერება.** ტფ. პოლიციის უმცროს მოხელეთა რიცხვს აძლიერებენ. სათადარიგო ჯარიდან 150 კაცი ჩაირიცხება პოლიციაში. ჯარის-კაცებს პოლიციელების ფორმა ეცმევათ. ახალს პოლიციელებს მიეცემათ თვეში თითოს 15 მან., ოთახი, სასმელ-საჭმელი და შუშა. ახალ პოლიციელთ ხაზინა თავის ხარჯით შეინახავს.

◆ **განჯა.** აქაურმა დელეგატებმა დაადგინეს, მოითხოვონ: ტელეგრაფისტების რიცხვის გადიდება მეექვსე სატელეგრაფო ნაწილში, მანამ მორიგეობის შემოღება და 8 სათის მუშაობის დაწესება.

◆ **ახალი გაზეთი.** კვირას, 20 ნოემბერს, თამამშევის გაზეთი „კავკაზსკი ლისტოკი“, ახალის რედაქციით გამოვა. გაზეთს სახელიც ახალი ექნება: „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“. გაზეთში მონაწილეობას მიიღებს სოციალ-დემოკრატიის უმრავლესობის ფრაქცია.

◆ **მეძავ ქალთა სახლები.** პოლიცმეისტერმა, გუბერნატორის განკარგულებით, 12 ნოემბერს დაიბარა პოლიციის მე-6 ნაწილის მეძავ ქალის სახლების პატრონები და წინადადება მისცა, ორის თვის განმავლობაში თავიანთი „დაწესებულებანი“ ქალაქის სხვა ნაწილებში გადაიტანონ.

◆ **დაჭრილი სალდათი.** 14 ნოემბერს თათრის მოედანზე ნახეს დაჭრილი სალდათი ალექსი გოკინაევი. დაჭრილმა განაცხადა, უცნობმა თათარმა გაიმირბინა და დამჭრაო.

◆ ქუთაისის ვიცე გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი **ალექსანდრე ყიფშიძე** დაამტკიცეს ამ თანამდებობაში.

◆ **სომეხთა კათალიკოსის ჩამოსვლა.** გუშინ, საღამოს 6 საათზე, ტფილისში ჩამოვიდა სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ I-ლი.

◆ **ახალი გაზეთი.** ნამესტნიკმა ნება დართო ვლ. ახმეტელაშვილს გამოსცეს ყოველდღიური გაზეთი „სხივი“.

◆ **გლეხების ფული.** როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, სიღნაღის მაზრის მუკუზანის, ველის-ციხის, ახაშენის, ჩუმლაყის, გურჯაანის, ვეჯინის, კოლაკის, ბაკურციხის, კარდანახის, ნოვო მიხაილოვის და ლაგოდეხის სოფლის საზოგადოებებს სამეურნეო თანხად ჰქონიათ სიღნაღის ხაზინაში ნაღდ ფულად 9212 მანეთი და სარგებლიანი ქაღალდები 40,800 მანეთისა.

◆ **სახალხო კითხვები.** 13 ნოემბერს, ელიავას თავმჯდომარეობით, მოხდა სახალხო კითხვათა საზოგადოების კრება. კრებამ პირველად მიიღო 170 ახალი წევრი. წაკითხულ იქმნა გამგეობის მოქმედების ორი წლის ანგარიში. კრება შეუდგა მომავალ მოქმედების პროგრამის გამორკვევას. კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: დაავალოს საზოგადოების გამგეობას ორკანიზაცია სახალხო კითხვებისა საზოგადო, პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხების გამოსარკვევად და ამ აზრით ხელი შეუწყოს და დახმარება გაუწიოს რევოლიუციონურ პარტიებს, რომელნიც მუშაობენ ხალხში. შემდეგ კრებამ დაადგინა, საღამოს კურსების მოწყობის საქმე კომისიას გადასცეს. კომისიაში იქმნება 14 კაცი, 7 საზოგადოებიდან და 7 სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან. შემდეგი კრება დაინიშნა 20 ნოემბრისათვის.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ტფ. სათავადაზნაურო გიმნაზიის სოციალ-დემოკრატ მოსწავლეთა ბიურო ამით აუწყებს თავის თანამოაზრეებს, რომ ხუთშაბათს, 17 ნოემბერს, 4 საათზედ, ნაძალადევში, სამრევლო სკოლის შენობაში, დანიშნულია კრება სხვა და სხვა საკითხის გამოსარკვევად“.

◆ 9 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე დავით სარაჯიშვილისა და ვასილ ფორაქაშვილისა. ფორაქაშვილი ცოლის ძმად მოჰხვდება სარაჯიშვილს. პირველი ედავება სამას ათას მანეთს, მამის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქარხნის ღირებულებას თავის ადგილებით კავკავში, რომელიც სარაჯიშვილს ვითომ მიუთვისებია სიმამრის სიკვდილის შემდეგ. ფორაქაშვილს საქმე მიუნდვია ნაფიც ვექილის კარაბეგოვისთვის, სარაჯიშვილის ვექილად-კი ქალანთაროვია. ეს საქმე კარგა ხანია სასამართლოში ყოფილა და ეხლა, როგორც იქნა, ედირსება გარჩევას.

◆ სად. სკრა. 13 ნოემბერს, საღამოს ხუთნახევარ საათზე, მე-215 ვერსზე ორი შეიარაღებული კაცი დაეცა ლიანდაგის დარაჯის სადგომს და მოჰკლა დარაჯის ცოლი.

◆ სად. ალექსანდროპოლი. 13 ნოემბერს მე-183 ვერსზე, ჯაჯურის ტუნელთან, საყარაულო ჯარის უფროსი აფიცერი პედჩენკო ტყვიით მოჰკლეს. მკვლელი შეიპყრეს.

◆ ნავთლუღის სადგურში 13 ნოემბერს, ღამის 1 საათზედ, დტვირთულ ვაგონს დეეცნენ შეარაღებული თათრები, გახტეხეს და წაიღეს ერთი ყუთი კალოში, მაგრამ ღამის დარაჯებმა და სტრაჟნიკებმა იქვე დაგდებინეს და ერთი თათარიც დასჭრეს.

ტფილისის ქალაქის საქმეები

14 ნოემბერი

ხმოსნები, ჩვეულებისამებრ, მეტად ზანტად იკრიბებიან და ცოტანი ესწრებიან საბჭოს კრებებს. უკანასკნელი კრება დანიშნული იყო დილის 10 საათზედ, მაგრამ კრება ძლივს გაჭირვებით შუადღისას დაიწყეს. პირველად ხმ. ა. ს. ბაბოვმა გაჰკიცხა გაზ. „კავკაზი“, სადაც მოხსენებული იყო, რომ ხმოსნებმა თუმცა გადასწყვიტეს მოსკოვში ორის კაცის გაგზავნა, მაგრამ ისე მოახერხეს, რომ ერთი გაგზავნეს. შესაძლებელია სომხებმა სახელმწიფო სათათბიროშიც მარტო ერთი კაცი გაჰგზავნონ. ხმ. ბაბოვმა გაჰკიცხა გაზეთის ასეთი საქციელი.

შემდეგ საბჭო შეეხო თავ. ვ. ს. მიქელაძის წინადადებას სახელმწიფო სათათბიროში ორი წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ. პარტიების წარმომადგენლები სრულიად უარს-ჰყოფდნენ სახელმწიფო სათათბიროს. ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ და რევოლიუციონური გზით დამფუძნებელი კრება მოვიწვიოთო. ბევრი მათრახი გადაჰკრეს ბურჟუებსა, რომელთაც რევოლიუციის ძალზე ეშინიათ. ამათ პასუხი უგო ხმ. ხატისოვმა და სთქვა: ჩვენ ხმოსნები მხარს ვუჭერთ კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიასა.

ბოლოს საბჭომ დაადგინა: „საბჭომ, მოისმინა რა განცხადება თავ. ვ. ს. მიქელაძისა და გადაუწყვეტელი დასტოვა რა საკითხი წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ, ერთხმად დაადგინა: საბჭო იმეორებს თავის გადაწყვეტილებას დამფუძნებელ კრების მოწვევის საჭიროების შესახებ. კრება უნდა მოწვეულ იქნეს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით და ქალების მონაწილეობით“.

შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა ქალაქის დასაცავ ორგანიზაციის მოწყობის შესახებ. ხმ. თავ. მიქელაძემ სთქვა, ეხლავ ავირჩიოთ კომისია და მივანდოთ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ამ საქმის შესახებ მოხსენების შემუშავებაო. ხმ. ბაბოვმა სთქვა, ჩემის აზრით 15,000 მან. უნდა გადავდვათ ამ საქმისათვის; ფული იმ თანხიდან უნდა დავხარჯოთ, რომელიც პოლიციის შესანახად არის გადადებული, ხოლო პოლიციას უარი ვუთხრათ, რადგან ისინი არაფერს აკეთებენ, პირიქით ხულიგანებს ხელმძღვანელობენო.

ბოლოს საბჭომ დაავალა გამგეობას, მოიწვიოს ორგანიზაციათა წარმომადგენელნი და მათთან ერთად დააჩქაროს ამ საქმის მოწყობა.

დასასრულ საბჭომ დაადგინა გადასდოს 5000 მ. გურიაში ყაზახების წყალობით დაზარალებულთა სასარგებლოდ. საბჭომ დაავალა გამგეობას, როგორც ეს, ისე თათარ-სომეხთა შეტაკების დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ გადადებული ფული პირდაპირ დანიშნულებისამებრ გაიგზავნოს.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ამას წინად დათხოვნილ იქმნენ პეტერბურგის ფოსტა-ტელეგრაფის სამი მოსამსახურე, რადგან ამათ იკისრეს დელეგატობა ამ უწყების მოხელეთა კავშირისა. ამის გამო ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა მოსთხოვეს ვიტტეს მათი უკან მიღება. ვიტტემ უარი განაცხადა. ამიტომ **მთელი რუსეთის და კერძო კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა გუშინ, საღამოს 6 ს. გამოაცხადეს გაფიცვა.**

კიევი, 14 ნოემბერი. გროდნოს გარნიზონის ჯარებში მღელვარებაა. სევასტოპოლის ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს კიევის ჯარებზედაც. საზოგადოებამ გადასწყვიტა ბოიკოტი გამოუცხადოს ქალაქის საბჭოს, რომელმაც პროტესტი გაუგზავნა მოსკოვს შეკრებილს საერობო და საქალაქო მოღვაწეთ და რომელმაც ამას წინად მადლობა გადაუხადა ჯარს ხალხის გაჟლეტისათვის. გაზეთების აზრით, სრულიად ძნელი არ არის საბჭოს სრული გაძევება.—კიევის ლავრის წინამძღოლმა, რომელსაც საზოგადოება ხულიგანების მფარველობას სწამებს, გამოსცა მოწოდება და თავს იმართლებს; მაგრამ, ამ მოწოდებიდანაც-კი სჩანს მისი დანაშაულობა.

სად. მიხაილოვო. 14 ნოემბერი. მოხდა სახალხო მიტინგი, რომელსაც 3000 კაცი დაესწრო. განიხილეს 9 ნოემბერს ატეხილ სროლის გარემოებანი და დამნაშავედ ფოსტის გამგე ნოვიცკი სცნეს; ამიტომ სამუდამო ბოიკოტი გამოუცხადეს.

პრესსა

როგორც ვიცით, მთელს რუსეთში ფოსტის და ტელეგრაფის მოხელეები კავშირს ადგენენ თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მმართველობა კი აცხადებს, კავშირების დაარსება 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით სახელმწიფო მოხელეებს არ შეუძლიანო, იმათ წმინდად უნდა აასრულონ სამოქალაქო სამსახურის კანონებიო. ამის გამო გაზეთი „სინ ოტეჩესტვა“ სწერს:

> საქმე ის არის, რომ მოხელეებს კავშირის დაარსების უფლება გამოჰყავთ 17 ოქტომბრის მანიფესტიდან, რომელმაც ეს უფლება მიანიჭა „მცხოვრებლებს“ სხვა და სხვა კატეგორიების განურჩევლად. მაშასადამე სჩნდება საკითხი, მოხელეები მცხოვრებლების ნაწილს შეადგენენ თუ არა; მოხელეებს ჰგონიათ, რომ —ჰო, მინისტრი —წინააღმდეგის აზრისაა.

შემდეგ გაზეთი ამბობს, სამოქალაქო სამსახურის კანონი ძველი კანონია და ამასთან კერძო; თუ ამ კანონის ძალა აუქმებს თავისუფლების მანიფესტის ძალას, რომელიც საერთო ხასიათისაა და ამასთან ახალიც, მაშინ—ცხადია, 17 ოქტომბერს გამოცხადებული თავისუფლებანი ძირიან-ფესვიანად გაუქმებულ იქნებიან, რადგან ამ ახალს საერთო კანონს მთელი წყება ისეთის ძველის და განსაკუთრებულის კანონებისა შეიძლება დაუპირდაპირდეს, რომელნიც სხვა და სხვა თანამდებობის პირებს არა თუ არ უკრძალავენ პიროვნებას ხელი შეახონ, პირიქით, პირდაპირ უბრძანებენ შეიკავონ, სადაც კი მოახელებენ, და ბდღვირი აადინონ.

> დეე მინისტრთა საბჭომ ივარჯიშოს იურიდიულ განმარტებებშიო, განაგრძობს გაზეთი, მაგრამ შევხედოთ აბა საქმეს ფაქტიურად. თუ მანიფესტი მოხელეებისთვის არ არის დაწერილი, აკრძალული უნდა იყოს კავშირების წევრობა არა მარტო ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებისთვის, არამედ საერთოდ მოხელეებისთვის; მაშასადამე სამსახურში აღარ უნდა დარჩნენ აკადემიურ კავშირის წევრები ე. ი. ორი მესამედი უმაღლეს სასწავლებლების მასწავლებლებისა, ინჟინერების კავშირის წევრები, მასწავლებელთა კავშირის წევრები... აქვს განა მთავრობას ფაქტიური საშუალება, სამსახურიდან დაითხოვოს ყველა ეს ურჩი მოხელეები? ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ მთავრობას ამის ასრულება ისევე არ შეუძლიან, როგორც არ შეუძლიან სამართალში მისცეს ოქტომბრის სისხლის ღვრის მომწყობელი სატრაპები. მთავრობას ორთავ მხრიდან ხელები შეკრული აქვს. ან იქნება მთავრობამ ეგზეკუცია მარტო ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს მიუჩინოს, და სხვაგან კი ხელი არავის ახლოს?—მაგრამ ეს ხომ კანონის ძალის შერყევა იქნება, მმართველობის ავტორიტეტის გაბათილება, რევოლიუციის მფარველობა!
>
> ჩვენ გვწამს, რომ მთავრობას ძალა არ შესწევს კავშირის დაარსება აუკრძალოს თუნდ მარტო ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს. თუ სამინისტრო მართლა შეუდგა თვის მუქარის განხორციელებას, ეს აუცილებლად გამოიწვევს გაფიცვას ფოსტასა და ტელეგრაფში; ამ გაფიცვას დაუჭერენ მხარს რკინის გზები, ფაბრიკები და სხვა. ძვირფასის სისხლით ნასყიდ უფლების დასაცველად ფეხზე დადგება მთელი საზოგადოება, იმედი გვაქვს, „17 ოქტომბრის კავშირიც“—და მთავრობა იძულებული იქნება დაუთმოს. განა უმჯობესი არ იქნებოდა, აჩქარებულ "განმარტებებსა" და „განცხადებებზე“ ხელი აეღოთ!
>
> ჩვენს დროში, როდესაც საყოველთაო გარდაქმნა სწარმოებს, მთავრობას შეეძლო ცოტა-რამ ყოფილიყო, მაგრამ იმას ძველებურად ჰსურს ყოველივე იყოს და არაფრად კი ჰხდება.

რუსეთი

აგიტაციის აკრძალვა. გაზეთების სიტყვით, ამ ცოტა ხანში მთავრობა გამოაქვეყნებს სავალდებულო დადგენილებებს, რომლის ძალითაც, იმათ, ვინც აგიტაციას გასწევენ, 500 მანეთი ჯარიმა გადახდებათ ან მიესაჯებათ საპყრობილეში ჯდომა სამი თვის ვადით.

ახალი პარტია. პეტერბურგში შემდგარა ახალი პარტია—რადიკალებისა. პარტიას საუკეთესო პოლიტიკურ ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა მიაჩნია. კონსტიტუციონალურ წესწყობილების დროს ისინი საჭიროდ სთვლიან პარლამენტარულ რეჟიმს. მინისტრები არჩეულ უნდა იქნენ პარლამენტის წევრთა უმრავლესობისაგან და პასუხს აგებდნენ ხალხის წარმომადგენელთა წინაშე. პარტია სასურველად სთვლის ერთ პალატიან სისტემას. პარტია ემხრობა ფართო ნაციონალურ-პოლიტიკურ ავტონომიას.

ვლადივოსტოკის აჯანყების შედეგი. ვლადივასტოკში მომხდარ აჯანყების დროს მოკლული და დაჭრილი 183 კაცი აღმოჩნდა. ამათგან 1 აფიცერი და ცამეტი სალდათი მკვდარია, 6 აფიცერი და 22 სალდათი დაჭრილი. დანარჩენნი სათადარიგო ჯარის-კაცები და კერძო პირნი არიან.

კავშირების წევრთა დათხოვნა. მთავრობის ყოველ დაწესებულებაში გაიგზავნა ცირკულიარი, რომლითაც ნაბრძანებია, მე-3 პუნქტის ძალით დაითხოვონ ყველა ის მოსამსახურენი, რომელნიც ამა თუ იმ კავშირში შევლენ.

დიქტატურის შემოღება. როგორც გაზ. „ტან“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, ხმა დადის, რომ პეტერბურგში დიქტატურის პროექტს ადგენენ. დიქტატორის სათავეში იდგებიან დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოზის ძე, გრაფი იგნატიევი და გენ. ტრეპოვი“.

რეაქცია ძლიერდება. პეტერბურგიდან „ლოკ ანც.“-ს ატყობინებენ შემდეგ ამბავს: „სასახლის პარტიამ, რომელიც, ზინოვიევის და შირინსკი-შახმატოვის მეთაურობით, გრაფ ვიტტეს წინააღმდეგ მოქმედობს, ამ ჟამად დიდი ძალა მოიპოვა. რეაქციის მოახლოვება აშკარაა“.

ყაზახების მობილიზაცია. დონის ოლქში უკვე მოახდინეს განკარგულება 24 სოტნა ყაზახების მობილიზაციის შესახებ.

აფიცერთა კავშირი. ოდესის სამხედრო ოლქში ხდება აფიცერთა კავშირი. კავშირმა პირველადვე უნდა განიხილოს საკითხები როგორც თანამედროვე განმათავისუფლებელ მოძრაობის, ისე აფიცერთა მოქმედების შესახებ.

აგრარულ მოძრაობის გამწვავება. როგორც „კიევს. ოტკლიკ“-ს ატყობინებენ, აგრარული მოძრაობა ნეჟინის მაზრაში ძალიან გამწვავებულა. აკლებულია 18 მამული. ზოგ სოფელში შეძლებულ გლეხების მამულებიც აუკლიათ.

სახელმწიფოს გაფლანგული ფული. ამ უკანასკნელ წელს სახელმწიფო დაწესებულებებში გაფლანგული ფული 400,000 მან. აღემატება. რკინის გზებზე მოპარულია 200,000 მანეთამდის. საფოსტო უწყებაში 60,000 მან. და სხვა უწყებებში, ყველაში ერთად 160,000 მან. ყველა ეს აღმოუჩენიათ რევიზიის დროს კონტროლის მოხელეებს, გარდა ამისა თვით დაწესებულებებს აღმოუჩენიათ 200,000 მანეთის გაფლანგვა, რომლიდანაც ერთი ნაწილი თვით დამნაშავეებს შეუტანიათ და დანარჩენი კი დამნაშავეების ნათესავებს.

ხულიგანების მუქარა. ნიჟნი-ნოვგოროდის კლუბს შემდეგი წერილი მიუღია: „რადგან კლუბში იკრიბებიან რევოლიუციონური პარტიები და თვით კლუბიც ნებას აძლევს, ჩვენ მოვალეობად ვთვლით, გავაფრთხილოთ კლუბის მამასახლისთა საბჭო: როცა რევოლიუციონერნი თავს მოიყრიან კლუბში, ჩვენ გარს შემოვერტყმით და გადავწვავთ სადგომს. ვერც ტყვიები და ვერც ყუმბარები ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლიან“.

წერილები.

სიღნაღი. 7-ს ნოემბერს სიღნაღში მოხდა საერთო მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ როგორც მოქალაქენი, ისე სოფლელნი. ორატორებმა რუსულ ქართულ და სომხურ ენებზედ განმარტეს აწინდელ მოძრაობის მნიშვნელობა და გამოსთქვეს ზოგიერთი მოთხოვნილება, რომელსაც დამსწრენი დიდის აღტაცებით მიეგებნენ. ყველანი ერთხმად თხოულობდნენ დამფუძნებელ კრების მოწვევას საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირის და ფარულის კენჭის ყრით. ამისდა გვარად შედგენილი რეზოლიუცია უნდა წარედგინათ მაზრის უფროსისათვის (არ ვიცი წარუდგინეს თუ არა). სხვათა შორის მიტინგზედ დაჰგმეს ეხლანდელი სასამართლო და როგორც ახლად მოსულ სესიას (ტფილისის ოლქის სასამართლოსას), ისე სიღნაღის სასამართლოს გამოუცხადეს ბოიკოტი და გადასცეს რეზოლიუცია თავისუფალ სასამართლოს დაწესების შესახებ. როდესაც დეპუტატებმა გადასცეს ეს რეზოლიუცია, მოსამართლეებს ეგონათ, ხალხი თხოულობს „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსაო, და თანაგრძნობით გამოუცხადეს: ჩვენც მაგასვე ვთხოულობთ, ჩვენც ვიცით, რომ უსამართლო სასამართლო არის ჩვენი სასამართლო, მაგრამ ეხლა აქედან როგორ წავიდეთ, როცა ნაბძანები გვაქვს აქ დარჩენა და საქმის გარჩევაო. მაშინ დეპუტატებმა განუცხადეს, რომ არავითარ ძალას არ დაატანენ მათ, (რადგან პირადად ამ სესიის წარმომადგენელთა საწინააღმდეგო არა აქვთ რა), არც ცემას დაუწყებენ და მხოლოდ მშვიდობიანის ბოიკოტით გააუქმებენ მათ საქმეს. აგერ სამი დღეა სესიაც და აქაური სასამართლოც გაუქმებულია ფაქტიურად: არავინ არ მიდის არც საჩივლელად და არც სხვა საქმისათვის. ქალაქმა თანაგრძნობა იმით გამოხატა, რომ ორ დღეს, კვირას და ორშაბათს, დუქნები დაკეტა (კვირაობით აქამდის დუქნები არ იკეტებოდა სიღნაღში), სოფლებმა იმით, რომ აღარსაიდან აღარავინ მოდის საჩივლელად და შინაური სოფლად ამორჩეული სასამართლოები (აქამდისაც არსებულნი) უფრო გაამაგრეს და კანონიერ ძალაში შეიყვანეს. ასე გაუქმდა სასამართლო.

ახლად გაწერილი სალდათები ხომ სულ არ მი-

რუსის ხალხს. დაჩაგრულია არა მარტო მოქალაქობრივი და პოლიტიკური, არამედ ეროვნული უფლებებიც არა-რუსის მუშა ხალხისა.

მუშა ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა დღეს:

II

1. საქართველოს დემოკრატიული ავტონომია და ფედერატიულად შეკავშირება ქართველ ერისა კავკასიისა და რუსეთის სხვა ერებთან (რუსეთის დემოკრატიული ფედერაცია).

ეროვნული შევიწროება მიმართულია არა რომელისამე კლასის, არამედ მთელი ერის წინააღმდეგ, მაგრამ ეროვნულ მონობის დროს ყველაზე მეტად იჩაგრება მშრომელი, ღარიბი ხალხი. ეროვნული ჩაგვრა სულს უხუთავს კულტურულ ცხოვრებას, რასაც ყველაზე მეტად ჰგრძნობს მუშა ხალხი. შევიწროვება სამშობლო ენისა და მწერლობისა განსაკუთრებით და უპირველესად მოქმედებს მუშათა ინტერესებზე. მუშამ არ იცის სხვა ენა, ვერ კითხულობს უცხო ენაზე გამოცემულ წიგნებს და გაზეთებს. დაბეჩავებული და დაჩაგრული დედა ენა და მწერლობა ერთად ერთი საშუალებაა, რომლითაც შეუძლიან დაეწაფოს კულტურულ ცხოვრებას, მიიღოს განათლება, განვითარდეს. დამჩაგვრელი სახელმწიფო უარჰყოფს მის დედაენას; კანონები გამოცემულია მისთვის გაუგებარ ენაზე, სკოლასა, სასამართლოსა და სხვა დაწესებულებაში გაბატონებულია ერთი უცხო, უცნობი ენა. მუშა მოწყვეტილია სახელმწიფო ცხოვრებას, დატოვებულია პოლიტიკურ და მოქალაქობრივ უფლებათა გარეშე. მუშა ხალხს შორდება მისი ინტელიგენცია, რომელიც სხვა უცხო ნიადაგზე იზრდება და ვითარდება, ეკარგება კავშირი მშრომელ ხალხთან, რომელიც ამის გამო უფრო იჩაგრება და უძლურდება. ეროვნული დაჩაგვრა ხელს უშლის მუშათა კლასობრივ გათვითცნობიერებას: ხშირად „გარეშე“ მტრის გულისათვის მუშა ივიწყებს „შინაურ“ მტერს, რასაც ყოველის ღონით სცდილობს ბურჟუაზია. კლასობრივი თვითშეგნება ბნელდება და რთულდება.

ამ ეროვნულ დაჩაგვრას ვერ დააღწევს თავს საქართველოს მუშა ხალხი მაშინაც, როდესაც რუსეთში დაარსდება საპარლამენტო წესწყობილება, რესპუბლიკაც, რადგან ასეთი წესწყობილება ბურჟუაზიული იქნება, რომელიც კიდევ უარესი მჩაგვრელია გარეშე ერებისა, ვიდრე არის დღევანდელი მთავრობა. საჭიროა ბრძოლა არა მარტო დღევანდელ თვითმპყრობელობის, არამედ იმ ცენტრალისტურ რესპუბლიკის წინააღმდეგაც, რომელიც მომავალში უნდა დაარსდეს რუსეთში და რომელიც გადაეღობება წინ საქართველოს მუშა ხალხის სოციალურ, ეკონომიურ და ეროვნულ განთავისუფლებას.

მაგრამ ეროვნულ თავისუფლების მოსაპოვებლად სრულებით საჭირო არაა სეპარატიზმი, განშორება რუსეთისაგან, რადგან კაცობრიობის განვითარება მიმართულია თავისუფალ ერთა გაერთიანებისა და სოლიდარობისაკენ. სრულიად საკმარისია საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია (და არა ისტორიული საზღვრების აღდგენა), დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში. ამავე დროს ავტონომიური საქართველო უნდა შეუერთდეს ფედერატიულად კავკასიის სხვა ერებს და რუსეთს, რომელთანაც მას ექნება საერთო ჯარი, ფლოტი, გარეშე საქმეები, ბაჟები, ფული.

ავტონომიის მომხრეა ყველა დაჩაგრულ ერის მუშა ხალხი. ყველგან, სადაც კი ერები დამონებულნი არიან, სოციალისტური პარტიები თხოულობენ ავტონომიას. მაგალითად, ავსტრიაში, სადაც რამდენიმე ერი სცხოვრობს ერთად, სოციალ-დემოკრატიამ გამოაცხადა: ავსტრიაში ყველა ერს უნდა მიეცეს ავტონომიაო. ავტონომიას თხოულობენ რუსეთში მცხოვრებ ერების მუშათა პარტიებიც.

2. საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება ყველა მოქალაქისათვის (არა უმცირეს 20 წ.) განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

დემოკრატიული, სახალხო წესწყობილების უმთავრესი საფუძველი ის არის, რომ საარჩევნო უფლება ყველას ეკუთვნოდეს, ყველას უნდა შეეძლოს მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადო მართვა-გამგეობაში. ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ უნდა არსებობდეს ადამიანთა შორის. ამასთანავე ყოველს მოქალაქეს უნდა ჰქონდეს თანასწორი ხმა. მოქალაქეებმა პირდაპირ უნდა აირჩიონ ასარჩევი კაცი, და ისე არ უნდა იყოს, რომ მოქალაქეებმა ჯერ ამომრჩევლები აირჩიონ და ამომრჩევლებმა—ასარჩევი კაცი. არჩევნები უნდა მოხდეს დაფარულის კენჭის ყრით, რომ ერთმა მოქალაქემ გავლენა არ იქონიოს მეორეზე (მაგალითად, მექარხნემ თავის მუშაზე).

3. პროპორციონალური წარმომადგენლობა. არჩევნები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ სავსებით გამოხატოს მცხოვრებთა სურვილი და მისწრაფებანი, რომ გავლენა იქონიოს არა მარტო უმრავლესობამ, არამედ უმცირესობამაც. ეს შეიძლება მაშინ, როდესაც ყოველს პარტიას ეყოლება იმდენი წარმომადგენელი, რამდენი ხმაც აქვს. მაგალითად თუ მთელს საქართველოში ერთს პარტიას ეკუთვნის ყველა ხმების $^3/_6$, მეორეს $^2/_6$ და მესამეს $^1/_6$ და ასარჩევია 300 კაცი, ერთმა უნდა აირჩიოს 150 კაცი, მეორემ 100 და მესამემ — 50.

4. ხალხის პირდაპირი კანონმდებლობა. ხალხმა რომ ნამდვილი მონაწილეობა მიიღოს კანონმდებლობაში, არა კმარა, რომ კანონების საქმე განაგოს ხალხის მიერ ამორჩეულმა კრებულმა. ხალხს უნდა შეეძლოს პირდაპირ მიიღოს მონაწილეობა კანონმდებლობაში და არა არჩეულ კაცების შემწეობით. ხალხმა პირდაპირ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი კანონის შესახებ. ამისათვის ხალხს უნდა შეეძლოს როგორც უარჰყოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, ისე თვითონ იკისროს ახალ კანონის გამოცემის საქმე.

5. ფართო ადგილობრივი თვითმართველობა. ზემო დასახელებულ მოსაზრებისა გამო, რომ ხალხი პირდაპირ მონაწილეობას იღებდეს მართვა-გამგეობაში, საჭიროა ფართო ადგილობრივი თვითმართველობა. ადგილობრივ, ხალხის პირდაპირ მონაწილეობით უნდა კეთდებოდეს ადგილობრივი საქმეები, ხალხი თვითონ უნდა განაგებდეს ადგილობრივ მეურნეობას, მიწის მფლობელობის მოწესრიგებას, სკოლას, მუშების დაცვას, საექიმო საქმეს და სხ. თვითონ უნდა იკმაყოფილებდეს დამოუკიდებლად ადგილობრივ საჭიროებებს. ცხოვრების განვითარება მოითხოვს, რომ თანდათან მოისპოს მთავრობა, როგორც განცალკევებული ორგანიზაცია, ეს კი შეიძლება ადგილობრივ თვითმართველობის განვითარებით და გაფართოვებით. ფართო თვითმართველობის შემწეობით შეუძლიანთ მხოლოდ მოქალაქეებს გაუძღვნენ ყველა თავის საქმეს მთავრობის დაუხმარებლად.

(დასასრული ხვალ)

დიან და რამდენი ხანია სამხედრო საკრებულო ტყუილად ზის და „სკუჩნაობს“.

ქიზიყში (სოფლად) მოხდა დიდი მიტინგი რამდენისამე ათას გლეხის თანადასწრებით. შეჰფიცეს ერთმანეთს ბრძოლა თავისუფლებისათვის ან სიკვდილი.

ბოქაული და ჯაჭვ ახსნილი მამასახლისი გამოისტუმრეს კუდ ამოძუებულნი სოფელ მაჩხაანიდან.

ლამურა

თელავი. საერთო გაფიცვის მოლოდინში ყველა სასწავლებლის გამგეობამ წინა დღითვე დაითხოვა მოსწავლენი და ვინც ასე არ მოიქცა, მოსწავლეთ სწავლა ძალათი ააკვეთინეს. გაფიცვა გათავდა, მოსწავლენიც მივიდნენ სასწავლებლებში, მაგრამ იმისთვის-კი არა, რომ სწავლა დაეწყოთ; გაიგეს იმ მხეცურ ჟლეტის ამბავი, რომელიც ძლევამოსილ რუს-ყაზახებმა დააწიეს მათ მოძმე მოსწავლეთ ტფილისში 22 ოქტომბერს და სწავლის დაწყების მაგიერ ყველგან სასულიეროსა, სამოქალაქოსა და წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის მოსწავლეთ პანაშვიდი გადაიხადეს, რომლის შემდეგ გავიდნენ მოსწავლენი წითელ ბაირაღით და მარსელიეზას სიმღერით, შემოიარეს თელავის ბაღი და სიტყვები წარმოსთქვეს. ამ დღიდან გაიფიცნენ კიდეც ამ დრამის შურის საძიებლად და დაადგინეს, ვიდრე ტფილისში არ დაიწყებენ სწავლას, არც ამათ დაიწყონ.

მას აქეთ კრებას კრებაზე ჰნიშნავენ. ჯერ საერთოდ პედაგოგებსა ჰქონდათ კრებები, მერე ყველა სასწავლებელს ცალ-ცალკე და ახლა ხედ მშობელთა კრებებიც მოაყოლეს. ჩვენ არ ვიცით, რას ადგენენ ამ კრებებზე, მარტო პედაგოგებს და მშობლებს იწვევდნენ, მხოლოდ ის-კი ნამდვილად ვიცით, რომ მასწავლებელთაც მხარი დაუჭირეს მოსწავლეთ და დაადგინეს, ვიდრე ტფილისში არ დაიწყება, არც ამათ დაიწყონ სწავლა და ისიც, რომ საქალაქო სასწავლებელში მოწერილობა მოჰსვლიათ ქართულ-სომხურ ენების, რომლებიც ვითომ და მოუმატეს, სწავლებისათვის ფულს არ გადავცემთო. მშობლებს მოუთხოვნიათ დედა-ენის აუცილებლად სწავლება, სავალდებულო საგნად ჩათვლა, ცალკე მასწავლებლების დანიშვნა, ხაზინიდან ფულის გადადება და სხვა.

ხომ მოგეხსენებათ, ყველგან მოიპოვებიან ისეთი ვაჟბატონები, რომელნიც სხვისა გაჭირვებით სარგებლობენ და თავიანთ პირად ინტერესების გულისთვის მზად არიან მთელი ქვეყანა შეიწირონ. გაფიცვის გამო უპირველეს ყოვლისა ნავთს აუწიეს ფასი, ერთი ორად და სამად ჰყიდდნენ—4 კ. მაგივრად 10—15 კაპ. ამასთან ხმებს ავრცელებდნენ, გაფიცვა დიდხანს უნდა გაგრძელდესო და იმის შიშით, რომ უსანთლოთ არ დარჩენილიყვნენ, ვისაც შეეძლო, ყველამ შეიძინა, რის გამო ნავთი მალე სრულიად გამოილია. ამ რიგად შეძლებულთ შეიძინეს, მეორეთ-კი, უფრო ღარიბთ არა, და ბევრს მოუხდა უსანთლოთ ღამეების გათევა. ბაზარსაც სანახევროდ ანათებდნენ და თელავის ქუჩებსაც აღარ აშუქებდნენ. ნავთის გარდა შაქარი 1 გ. 30 კ. გახადეს და თუ დრო იხელეს ჩვენმა პატარა ბურჟუებმა, სხვა საქონელზედაც ასე უწევენ ფასს, მხოლოდ ამის ბრალს-კი სხვასა სდებენ.

დიმიტრაშვილი

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთის მე-2942 ნომერში მოთავსებული იყო წერილი განჯის პოლკის კაპიტნის ბ-ნ დ. ართმელაძისა, რომლითაც იგი არწმუნებდა საზოგადოებას, რომ ზემოაღნიშნულ პოლკს 22 ოქტომბერს მომხდარ სისხლის ღვრასა და დარბევა-კვლებაში წილი არ უდევს და არავითარი სამარცხვინო მოქმედება არ ჩაუდენიაო.

წინააღმდეგ ბ-ნ ართმელაძისა მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ვაუწყო საზოგადოებას, რომ 22 ოქტომბერს სწორედ განჯის პოლკმა აიღო და დაარბია „ნიუიორკი“, ის ქალაქი-კი არა, რომელიც ჩრდილო ამერიკაშია, სასტუმრო „ნიუ-იორკი“, რომელიც გოლოვინის პროსპექტზედ არის, ოქოევის სახლში. საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ჩვენ პოლკებს მაინც და მაინც სხვა სახელმწიფოს ქალაქების აღება ვერ ეხერხებათ!ა, იმ საზარელ დღეს განჯის პოლკის სალდათებმა ყოვლად უმიზეზოდ სროლა აუტეხეს ნიუ-იორკის სასტუმროს, მერე შიგ შემოცვივდნენ, მდგმურები ძალად გამოჰყარეს ნომრიდან, დაუწყეს ავეჯეულობას მტვრევა-ტაცება და სამი ათას მანეთამდე ზარალი მოაყენეს, როგორც სასტუმროს მოიჯარადრეს.

„სროლა პირველად სასტუმროდან ასტეხეს და თუ არ გჯერათ,—აი ამხანაგის გახვრეტილი პაგონი და სალდათის მუნდირიო“, ამბობს ბ-ნი ართმელაძე. ამას ხომ ხულიგანებიც ამბობენ? იმათის სიტყვით, 22 ოქტომბერს 37 უუმბარა გაისროლა ხალხმა, მაგრამ განა ეს მართალია? 22 ოქტომბერს მომხდარ ამბების შესახებ გამოძიება უკვე სწარმოებს და რა გინდ მიდგომით იწარმოვოს გამოძიებამ, მაინც ვერავინ იტყვის, რომ სასტუმროდან ვინმეს ესროლოს და ან იმ დღეს 37 უუმბარა დახარჯულიყოს. მე ვერას ვიტყვი ვერც ამხანაგის პაგონზედ და ვერც სალდათის მუნდირზედ, რადგან არც ერთი და არც მეორე არ მინახავს, მხოლოდ მაგის ახსნა ადვილია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ იმ დღეს მთელი პროსპექტი ხულიგანებით იყო გაჭედილი.

„რაკი სროლა აგვიტეხეს, ჩვენც სროლითვე უნდა გვეპასუხნა, რომ ატეხილი სროლა ჩაგვეჩუმებინაო“, ამბობს ბ-ნი ართმელაძე. ვთქვათ, დავეთანხმეთ, ბ-ნო კაპიტანო, რომ სროლაზედ სროლითვე უნდა გეპასუხნათ, მაგრამ რით ამართლებთ იმას, რაც სროლას მოჰყვა? აი აქ არის ძაღლის თავი დამარხული.

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ისეთ შემთხვევას, როდესაც ადამიანი სცდილობს თავიდან მოიშოროს დაუმსახურებელი ბრალდება და საზოგადოებას მიმართავს თავის მოქმედების მსჯავრის დასადებად. მით უფრო სასიამოვნოა როდესაც ამას ჩადის აფიცრობა, რომელიც წინად მაინც და მაინც თავს არ იწუხებდა და არ ხელმძღვანელობდა საზოგადოების აზრით და შეხედულობით.

სასიხარულოა, როდესაც აფიცრობა ბ-ნ ართმელაძის პირით გაიძახის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი თავი რაიმე „ინსტრუქციის“ მონებად ჩავთვალოთ, წინააღმდეგ ჩვენ ვცდილობთ შეძლების დაგვარად სამსახური გავუწიოთ საზოგადოებას, რადგან ჩვენც ვგრძნობთ თავის მოვალეობას მის წინაშე და სხ. მაგრამ ეს ხომ სიტყვებია, საქმეში კი სხვა დაგვანახა. იმის ნაცვლად, რომ ბ-ნ ართმელაძეს თავი ემართლებინა საბუთებით და ფაქტებით ხელში, იგი თვით საზოგადოებას სდებს ბრალს, რომ ვითომ მიმავალ ჯარს ხალხმა პირველად დაუწყო სროლაო. ბ-ნი ართმელაძე თავის მხრით ბრალს სდებს იმ საზოგადოებას, რომელსაც თვითონ მიჰმართა მსჯავრის დასადებათ პოლკის მოქმედებაში. თავის მართლებაც ასეთი უნდა!

„ნიუ-იორკის“ სასტუმროს პატრონი
ალექსი კოკაია.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

14 ნოემბერი

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია: რადგანაც საჭირო აღარ არის, ამიტომ დათხოვნილ იქნას ციმბირის სამხედრო ოლქის სახელმწიფო „ოპოლჩენიე“.

ოლქის სასამართლოებს ნება აქვთ წინასწარი გამოძიება მიანდონ ხოლმე სასამართლოს წევრებს პროკურორების წინადადებით.

გაზეთების ცნობით, 13 ნოემბერს, სრულიად მოულოდნელად, დაითხოვეს სათადარიგოთ მე-14, 18 და სხვა სათვალტო ეკიპაჟის მატროსები, რომელნიც პეტერბურგში იყვნენ დაბინავებული.

დაითხოვეს აგრეთვე სათადარიგოთ 1898, 1899 და 1900 წ. გაწვეული მატროსები, ასე რომ ზოგიერთმა განთავისუფლებულთაგანმა 5—6 წელი იმსახურა ნამდვილ სამსახურში, ჩვეულებრივ 7 წლის მაგივრად. სამშობლოში დასაბრუნებლად თვითეულს მათგანს მიეცა კანონიერი საკვები, 16—16 კაპეიკი დღე და ღამეში, თითო კაცზე. სულ დაითხოვეს 500 კაცი.

13 ნოემბერს პეტერბურგის ყველა ვოკზლებზე დაინახავდით აუარებელ მუშას, რომელნიც სოფლებში მიდიან, ფაბრიკებსა და ქარხნებში საბოლოო ანგარიშის გასწორების შემდეგ

პეტერბურგი. ვლადივასტოკის არეულობის დროს აღმოჩნდა, რომ უბრალო ჯარის-კაცებმა სრულიად უარჰყვეს სამხედრო დისციპლინა, რაც აფიცრების საკრებულოს განადგურებაში გამოიხატა. ამიტომ გენ. ლინევიჩმა მოწერილობა გაუგზავნა სამხედრო სასამართლოს, დამნაშავენი ომიანობის დროის წესებით დასაჯეთ კანონის დარღვევის გამოო.

სევასტოპოლში არეულობისა და შფოთის ჩაქრობა დაევალა მე-7-ე კორპუსის უფროსს ბარონ მელლერ-ზაკომელსკის.

გუშინ დღიდან დაიწყო ბეჭდვით სიტყვის ახალ კანონის სტამბვა.

გუშინ სამშობლოში გაჰგზავნეს ბევრი უბრალო ჯარის-კაცი, რომელნიც სათადარიგოთ დაითხოვეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

14 ნოემბერი.

ბაქო, 14 ნოემბერი. ქუჩებში გაკრულია გუბერნატორის განცხადება, რომელიც კრძალავს დემონსტრაციებსა და მანიფესტაციებს, მიტინგებსა და კრებებს ქუჩებსა და მოედნებზე. მიტინგების გამართვა შეიძლება დახურულ შენობებში განსაზღვრულ პირობებით.

კურსკი, 14 ნოემბერი. საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით თათბირი გაიმართა გამგეობასა და მაზრის ერობების წარმომადგენელთა შორის შესახებ იმისა, თუ როგორ მოისპონ კურსკის გუბერნიაში აგრარული მოძრაობა. საჭიროდ სცნეს, დაარსონ მაზრებში კომიტეტები მაზრის წინამძღოლის, გამგეობის თავმჯდომარის, ქალაქის მოურავისა და ისპრავნიკისაგან და სთხოვონ ადმინისტრაციას ჯარი მოსაშველებლად. თუ ადმინისტრაცია ვერ მოახერხებს ამ თხოვნის დაკმაყოფილებას, მაშინ ითხოვონ, ხაზინიდან ფული და დაარსონ ცხენოსანთა დაქირავებული რაზმები, თუ ხაზინაც უარს იტყვის ფულის გადადებაზე, მაშინ ხარჯი ადგილობრივ საშუალებით დაჰფარონ. საჭიროდ დაინახეს, გამართონ ხოლმე კომიტეტის წევრებმა საუბარი გლეხებთან 17 ოქტომბრისა და 3 ნოემბრის მანიფესტებზე, გაავრცელონ ხოლმე ეს მანიფესტები მცხოვრებთა შორის, მოისპოს გაძლიერებული დაცვა, რაც შეიძლება ჩქარა მოიწვიონ სახელმწიფო სათათბირო, რომელმაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა განიხილოს აგრარული საკითხი.

სუჯა, 14 ნოემბერი. ბელოვის სოფლის საზოგადოებამ, რომელშიაც 813 სახლის პატრონი შედის, წარუდგინა საერობო გამგეობას განაჩენი, რომელშიც ის ითხოვს სტანოვოი ბოქაულებისა, ურიადნიკებისა და სტრაჟნიკების გაუქმებას, რომელთა შენახვა ძნელია მცხოვრებთათვის: მოითხოვა აგრეთვე წოდებრივობის მოსპობა: გუბერნიებისა და მაზრების გამგეობათა განახლება, რომლებშიაც უნდა ირჩეოდნენ წევრები არა ცენზით, არამედ ყველა მცხოვრებთაგან და გლეხებისთვის მიწების დარიგება დაუყოვნებლივ.

ვარშავა, 14 ნოემბერი. ხიდმის 10 ს. სასტუმრო „ბრისტოლ“-ში იფეთქა ორმა გადაგდებულმა ბომბამ. არავინ არ დაზიანებულა.

სტამბოლი, 13 ნოემბერი. საერთაშორისო ესკადრა მიტილინს მიადგა.

შანხაი. შიმონოსეკოთან ერთმანეთს დაეჯახა იაპონიის ორი ტრანსპორტი. ერთი ჩაიძირა. დაიხრჩო 13 კაცი.

მოსკოვი, 14 ნოემბერი. ებრაელების საკითხის შესახებ კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „17 ოქტომბრის შემდეგ მომხდარმა ჟლეტა-ხოცვამ განსაკუთრებით ებრაელები გაანადგურა. მსხვერპლთა რიცხვი ზოგიერთ ადგილებში ასობითა და ათასობითაა. ჟლეტა-ხოცვამ დააზარალა 60-მდე ქალაქი და დაბა, ებრაელებით დასახლებული. ეს მოვლენა და ავერ-წახსნილობა იმითი აიხსნება, რომ მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა, პირიქით, მონაწილეობდა კიდეც დაწიოკებაში, რასაც საფუძვლად უდევს იმ განსაკუთრებულ კანონების გავლენა, რომელთა წყალობით ადმინისტრაციამა და მცხოვრებლებმა ისეთი რწმენა შეიმუშავეს, რომ ებრაელები ყველაფრით შეგიძლია შეავიწროო და გასთელო რომ ებრაელთა უუფლებობა, ერთის ადგილიდან მეორეზე გადასვლა-გადმოსვლის ნების განსაზღვრა, მუშაობისა და განათლების უფლებისთვის ფრთების შეკვეცა, ყველაფერი ეს ეკუთვნის მცხოვრებთა ისეთს ნაწილს, რომელიც შეგიძლია, დაუსჯელად, სტანჯო, შეურაცხჰყო მისი პიროვნება, დააწიოკო მისი ქონება. ამის ამოსაფხვრელად დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ზომები, რათა კვლავ აღარ განმეორდეს ასეთი საშინელება. კრებამ პრინციპიალური აზრი უკვე გამოსთქვა რუსეთის ყველა მოქალაქეთა გათანასწორების შესახებ, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ამ პრინციპის ეხლავე განხორციელება ებრაელების შესახებ იქნება ზომა პრაქტიკული და აუცილებელი. მთავრობამ, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელებას შესდგომია, უნდა აღიაროს, რომ ებრაელის ადამიანური უფლებები დაკანონებულია, როგორც რუსეთის ყოველისავე მოქალაქისა და უნდა დაეცეს ყველა ის განსაზღვრები, რომლებითაც შებოჭვილია მისი პიროვნება. კრება აღიარებს, რომ ახლავე უნდა დაკანონდეს ებრაელების თანასწორ-უფლებიანობა, რომელსაც უნდა მოჰყვეს ყველა გამსაზღვრელ კანონებისა და წესების მოსპობა და საჭიროდ სცნობს, რომ სახელმწიფო დაეხმაროს დაწიოკებულ-დაჟლეტილ ებრაელებს.

სევასტოპოლი, 14 ნოემბერი. მატარებლები არ მოდის. მგზავრები სიმფეროპოლში მიდიან ცხენებით. სახელმწიფო დაწესებულებებს ყაზახ-რუსები სცავენ. ისტორიჩესკი ბულვარზე არტილერია სდგას. სიმშვიდე მყარდება. დღევანდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

მოსკოვი, 14 ნოემბერი. სახალხო განათლებისა და ადგილობრივ ენების შესახებ კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „იღებს რა სახელმძღვანელობაში—1. 17 ოქტომბერს გამოცხადებულ სიტყვის თავისუფლების პრინციპს, 2. იმ რწმენას, რომ დაწყებით განათლების საქმის წარმატება, როგორც განაპირა ქვეყნებმა დაგვიმტკიცა, პირდაპირაა დამოკიდებული იმაზე, სწარმოებს თუ არა დაწყებითი სწავლება სამშობლო ენაზე და 3. იმ დადგენილებას, რომელიც უკვე მიიღო კრებამ იმპერიის ეროვნებათა უფლებების დასაცველად, კრებას საჭიროდ მიაჩნია ეხლავე, ხალხის წარმომადგენელთა მოწვევამდე. შემოღებულ იქნას, როგორც შესაძლებელი იქნება, ლიტვური, ლატიშური, ესტონური და უკრაინული ენები დაბალ სკოლებში და მოისპოს ყველა ცირკულიარები და განკარგულებანი შესახებ ადგილობრივ ენებისა.

პლოცკი, 14 ნოემბერი. აგრარული მოძრაობა დაიწყო. ძლიერი აგიტაციაა, სავოლოსტო ერილობამ გაანადგურა რუსეთის ნიშანი საგმინო სამმართველოზე.

კიევი, 14 ნოემბერი ქალაქში ხმები დადის, დღეს, ღამით, ინტელიგენციას უნდა სცემონ და ქალაქი დააწიოკონო. საკონსულოებს მცველები დაუყენეს. ღამით შეესიენ პოდოლში მაღაზიების განადგურებას, მაგრამ ხულიგანები გაჰფანტეს გოროდოვოებმა.

15 ნოემბერი

პეტერბურგი. გამოვიდა „17 ოქტომბრის კავშირის“ მოწოდება“ შემდეგის ძირითად დებულებით: 1. ერთობა და განუყოფლობა რუსეთისა; 2. განვითარება და განმტკიცება საკონსტიტუციო მონარქიის საფუძვლებისა; მონარქია დამყარებული უნდა იყოს ხალხის წარმომადგენლობაზე; საერთო საარჩევნო უფლება; 3. უზრუნველ ყოფა მოქალაქობრივ უფლებისა, 4. დაჩქარება სახელმწიფო სათათბიროს მოწვევისა; 5. მოწესრიგება მცირე მიწის იჯარისა, ხელის შეწყობა გლეხთა დასახლება-გადასახლებისა სახელმწიფო და საუფლისწულო მამულებზე. ფონდი მიწის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; 6. მუშათა შესახებ კანონმდებლობის გადასინჯვა, გაუმჯობესება და გაფართოება; 7. განვითარება და განმტკიცება ადგილობრივ თვითმმართველობისა; 8. მზრუნველობა ხალხის განათლებაზე; 9. ადმინისტრატიული და სამოსამართლო რეფორმები. ამ პარტიის მეთაურებად არიან გრაფი პეტრე ჰეიდენი, შიპოვი, გუჩკოვი, კრასოვსკი, სტახოვიჩი, თავადი ვოლკონსკი და ხომიაკოვი.

ვლადივასტოკი 13 ნოემბერი. იაპონიიდან ტრანსპორტ „ტერეკით“ დაბრუნებული ტყვეები კვანტუნის ციხის არტილერიის სალდათები გუშინ აჯანყდნენ და სცემეს კაპიტან ნოვიცკის, რომელმაც მოჰკლა ერთი მოთავე სალდათი. ჯარი საჩქაროდ შეჯგუფდა, თავს დაეცა აფიცრებს და მოითხოვა ნოვიცკი, რომელიც იქ იმალებოდა. აფიცრები გამოვიდნენ და ურჩიეს აჯანყებულთ, დაშლილიყვნენ. გაბოროტებულმა სალდათებმა სცემეს და დასჭრეს შტაბს-კაპიტანი პაკოვსკი. ნოვიცკიმ რევოლვერით თავი მოიკლა, სალდათები შეიჭრნენ აფიცრების სადგომში, დასჭრეს პორუჩიკი ლილეევი, რომელიც სცდილობდა იმათ დამშვიდებას, ლილეევი იმავ დღესვე გარდაიცვალა. ამ არეულობამა და შფოთმა კარგა ხანს გასტანა. ბოლოს მოვიდა ორი როტა და არტილერია, რომელთაც შეაპყრეს პორტ-არტურელები ამ დროს ქალაქიდან გამოწვეული ყაზახებიც მოვიდნენ. დასახელებულ აფიცერთ გარდა მძიმედ დაიჭრნენ შტ.-კაპიტნები ტიმოფეევი, შკლიარენკო და პორუჩიკები ტროიცკი, მიტრიაკოვსკი და ჟავორონკოვი. ყველა ესენი თავში არიან დაჭრილნი. ქალაქს რაზმები იცავენ. ქუჩებში სიწყნარეა. მაგარ სასმელების ყიდვა აიკრძალა და სრულიად მოისპო 1 დეკემბრამდის.

მოსკოვი, 14 ნოემბერი. ქალაქებისა და ერობების კრება დაიხურა.

ტამბოვი, 13 ნოემბერი. აგრარული მოძრაობა ძლიერდება ტამბოვის მაზრაში, ბორისოგლებსკისა და კირსანოვისაში-კი წყნარდება.

.პარიზი, 13 ნოემბერი. საერთაშორისო ესკადრის სარდალს ბრძანება მიუვიდა, დაიჭიროს მიტილენის დამოჟნები, თუ წინააღმდეგობა გაუწიეს, ქალაქს ზარბაზნები დაუშინოს, თუ სულთანი ხვალვე არ დააკმაყოფილებს სახელმწიფოების მოთხოვნებს. სტამბოლში, ევროპიელთა უბანში, სახლების კედლებზე, გააკრეს განცხადებები, რომლებშიაც უცხოელებს ემუქრებიან. ინგლისის ელჩმა აცნობა პორტას, თუ გაბედნია და ხელი გახლია რომელიმე ინგლისელისთვის, იმ შემთხვევაში ბრიტანეთის ფლოტი გაამაგრებს დარდანელის სრუტესო.

დონის-როსტოვი, 14 ნოემბერი. დონის ოლქის: კრივოი როგის ვოლოსტში, 300-მდე გლეხი შეესივნენ მემამულეებს. 14 ნოემბერს მაზრის სხვა და სხვა ადგილას ცეცხლის წაკიდება და ქონებათა მითვისება იწყეს. ერთი ეკონომია გადასწვეს, მეორეში ტყეს სჩეხავენ.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 14 ნოემბერი. აგრარული არეულობა დაიწყო სერგაჩისა და ლუკოთანოვის მაზრებში. გაჰგზავნეს ჯარები. ამავე დროს ადმინისტრაცია ცდილობს ზნეობრივი გავლენა იქონიოს გლეხებზე დაწიოკების თავიდან ასაცილებლად.

ხარკოვი, 14 ნოემბერი. სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ სწრაფლი მატარებლები მიდიან მხოლოდ ხარკოვიდან; სადაც სდგება მატარებლები; ამ მატარებლებს სიმფეროპოლიდან მოსული მგზავრები მიჰყავს.

ეტერბურგის ბირჟა 12 ნოემბ. 1905წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	$5^{1}/_{4}$--$7^{1}/_{2}$
4% სახელმწიფო რენტა	$87^{1}/_{8}$
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$85,^{1}/_{2}$
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	$451^{1}/$
5% მე-2 შინ. ეს. მომ. ბილ. 1866 წ.	$346^{1}/_{2}$
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	280
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
$4^{1}/_{2}$% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურც ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა.	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—17).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კაპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი-შვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
ხიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
ლასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფასი, თარგმანი სომხურიდან გ. ევანგულოვისა	1	—

ტელეფონი პირველი საწყობი № 10. 1

შეშისა

✦ პ. ი. კურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოჟნის პირდაპირ. **საკუთარის ტყიდან** მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის საჟენი თავისი თვალ-წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადებულ საჟენებიდან.

(10—9) **გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება ნოემბრიდან—ნოემბრამდე.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წ. კ. გ. საზოგადოების“ კანცელარიაში და მარიამ დემურიას სადგომში—ალექსანდროვის ქუჩა № 5.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან. ნახევარ წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 50 კაპ. ცალ-ცალკე ნომერი „მცირე წლოვანთათვის“ 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად

პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, Редакція „НАКАДУЛИ“.**

რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **„სხივის“** ამხანაგობის გამოცემული **პირველი წიგნი** ივ. გომართლის

ჯუზეპე გარიბალდი

ფასი ორი შაური

ვინც ნაღდად ოცს ცალსა და მეტს იყიდის, დაეთმობა: ტფილისში 6 კაპ., ტფილის გარეთ გაგზავნით 7 კაპ.

წიგნის საწყობი—„ჯეჯილის“ რედაქციაში, არტილ. ქ. № 5. (10—ნ.—7)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)